



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტი
ინტერკულტურული დიალოგის იუნისკოს კათედრა
Institute of Cultural Studies
UNESCO Chair in Intercultural Dialogue



United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization




United Nations Educational, Scientific and Cultural
Organization

UNITWIN/UNESCO Chairs - Twinning networks and
university networks

ცივილიზაციური ძიებანი

CIVILIZATION RESEARCHES

№ 12, 2014



„ცივილიზაციური ძებანი“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოდის 2003 წლიდან. 2007 წლის ივნისში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული საერთაშორისო მრგვალი მაგიდის – „კავკასია: ინტერკულტურული დიალოგის პერსპექტივა“ – გადაწყვეტილებით, ის არსებობას განაგრძოს როგორც საერთაშორისო გამოცემა. კრებული ინტერდისციპლინურია, მოცავს კროსკულტურული კომუნიკაციისა და ინტერკულტურული დიალოგის, შედარებითი რეგიონული კვლევების (ისტორიული და ტიპოლოგიური საკითხები), კულტურის კვლევების და სხვა საკითხებს.

კრებული თანამშრომლობს აზერბაიჯანის, სომხეთის, მოლდოვას, რუსეთის ფედერაციის, ცენტრალური აზიის იუნესკოს კათედრებთან, სხვა ქართველ და უცხოელ კოლეგებთან, რომლებიც წარმოდგენილი არიან როგორც სარედაქციო საბჭოში, ასევე ავტორების სახით.

სარედაქციო ჯგუფი მზადაა თანამშრომლობისათვის დაინტერესებულ პირებთან და სტრუქტურებთან.

“Civilization Researches” is an annual edition of the UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

The articles cover spheres including, but not restricted to:

- Cross-cultural communication and intercultural dialogue
- Comparative regional studies (including historical and typological perspectives)
- Cultural studies.

Traditional and non-traditional paradigms of study are equally welcome.

The journal cooperates with the UNESCO Chairs in Armenia, Azerbaijan, Moldova, Central Asia, Russian Federation and is open for collaboration with the interested individuals and structures.

მოთხოვნები ავტორებისადმი

მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულად, ინგლისურად, რუსულად ან ფრანგულად (მაქსიმუმ 4.000 სიტყვა, Times New Roman 12, 1,5, ან 2.500 სიტყვა, AcadNusx 12, 1,5 (ქართული ტექსტები). ყველა სტატიას (გარდა ინგლისურ ენაზე წარმოდგენილისა) უნდა ახლდეს ინგლისური რეზიუმე 800-1000 სიტყვის მოცულობით. ციტირება – MLA სტილი.

შერჩევის პირველი ეტაპი – სარედაქციო საბჭოს წევრთა მიერ შერჩეული სტატიები იგზავნება თბილისში, რედაქციაში, ელექტრონული ფოსტით.

მეორე ეტაპი – სტატიები ეგზავნება სარედაქციო საბჭოს წევრებს (სპეციალობათა მიხედვით) საბოლოო შერჩევასათვის.

წარმოდგენის ვადები:

- 1 ოქტომბერი – წარმოდგენა სარედაქციო საბჭოში
- 1 ნოემბერი – სარედაქციო საბჭოს წევრთა საბოლოო გადაწყვეტილება

Submission

The articles should be submitted in Georgian, English, Russian or French (max. 4000 words, Times New Roman 12, 1,5, or 2500 words, AcadNusx 12, 1,5 space (Georgian texts). All articles (except those in English) must be presented together with the summary **in English**, 800-1000 words. Citation – MLA style.

First stage of selection – papers recommended by the members of the Editorial Board should be delivered to Tbilisi by e-mail.

Second stage – the papers should be distributed among the members of the Editorial Board for the final selection.

Deadline for delivering articles to Tbilisi:

October (with the recommendation of a member of the Review Group)

November (decision of the member of the Review Group to whom the article was delivered).

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2016

ISBN

© ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრა, 2016

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, 2016

ISSN 1512-1941

სარეალიზაციო საპროექტო:

**ნინო ჩიქოვანი, პროფესორი
(სარეალიზაციო საბჭოს თავმჯდომარე)
მუნიციპალიტეტის პაბაჯანოვა**

მიხეილ ბორგოლტე, პროფესორი

ემილ დრაგნევი, პროფესორი

მალხაზ მაცაბერიძე, პროფესორი

დიმიტრი სპივაკი, პროფესორი

ნინო ფირცხალავა, პროფესორი

**თინათინ ღუდუშაური,
ასოც. პროფესორი**

ბერნდ შპილნერი, პროფესორი

ბეჟან ჯავახია, პროფესორი

რაუფ ჰუსეინოვი, პროფესორი

კულტურის კვლევები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ინტერკულტურული დიალოგი, რუსულ-ტაჯიკური (ხლა-ვური) უნივერსიტეტი, დუშანბე, ტაჯიკეთი

შუა საუკუნეების ევროპის შედარებითი ისტორია, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი, გერმანია

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევები, მოლდოვას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოლდოვა

პოლიტიკის მეცნიერებები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სულიერი ტრადიციების, სპეციფიკური კულტურებისა და ინტერრელიგიური დიალოგის შედარებითი კვლევა, კულტურის კვლევათა რუსეთის ინსტიტუტი, სანქტ-პეტერბურგი, რუსეთის ფედერაცია

შედარებითი ლიტერატურული კვლევები, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

კულტურის ანთროპოლოგია, ჰუმანიტარული სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

ენათმეცნიერება, დუისბურგის ესენის უნივერსიტეტი, გერმანია

შუა საუკუნეების ისტორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ისტორია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, აზერბაიჯანი

სარეალიზაციო ჯგუფი:

ქეთევან კაკიტელაშვილი
დავით მაცაბერიძე
მაია ქვრივიშვილი
ირაკლი ჩხაიძე
ივანე წერეთელი

რეალიზაციის მისამართი

საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., №3
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
II კორპუსი, ოთახი 164
ტელ.: (995 32) 2290844
ელ. ფოსტა: icstbilisi@gmail.com

ურნალის ინტერნეტვერსია და სხვა ინფორმაცია ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის შესახებ იხ. ვებგვერდზე: www.culturedialogue.com

EDITORIAL BOARD:

Nino Chikovani, Professor (Head of the Reviewers Board)	Cultural Studies, <i>Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Munzifakhon Babajanova	UNESCO Chair “Intercultural Dialogue”, <i>Russian-Tajik (Slavonic) University, Dushanbe, Tajikistan</i>
Michael Borgolte , Professor	Comparative History of Medieval Europe, <i>Humboldt University, Berlin, Germany</i>
Emil Dragnev , Professor	South-East European Studies, <i>Moldova State University, Moldova</i>
Tinatin Ghudushauri , Professor	Cultural Anthropology, <i>School of Humanities, University of Georgia</i>
Rauf Huseynov , Professor	History, <i>Institute of Archeology and Ethnography of the National Academy of Sciences of Azerbaijan</i>
Bejan Javakhia , Professor	Medieval Studies, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Malkhaz Matsaberidze , Professor	Political Sciences, <i>Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia</i>
Nino Pirtskhalava , Professor	Comparative Literary Studies, <i>Ilia Chavchavadze State University, Tbilisi, Georgia</i>
Dimitri Spivak , Professor	Comparative Studies of Spiritual traditions, their Specific Cultures and Interreligious Dialogue, <i>Russian Institute for Cultural Studies, St. Petersburg, Russian Federation</i>
Bernd Spillner	Linguistics, <i>Duisburg-Essen University Germany</i>

EDITORIAL GROUP:

Irakli Chkhaidze
Ketevan Kakitelashvili
Maia Kvritishvili
David Matsaberidze
Ivane Tsereteli

ADDRESS OF EDITORIAL OFFICE

UNESCO Chair in Intercultural Dialogue, Tbilisi State University
3, Ilia Chavchavadze Ave. 0179, Tbilisi, Georgia.
E-mail address: icstbilisi@gmail.com

The electronic version of the journal and the information about the UNESCO Chair in Intercultural Dialogue is available at: www.culturedialogue.com

ՑՈՆԱԱՐՏՍՈ

CONTENTS

ՈՎԱՆԵ ԵՐԵՄԵԼՅՈ

„ԲՎԵԲ“ და „ՍԵՎԵԲԻ“: ԵԹՆՈԿՇՐ ՀԱՅՈՒՅՔԸ ՌՈՐՈՍ ՇՐՏՈՂԵՐՏՖԱՄՈԿՈՒԴԵՑՆՈՂԵՑՈՍ ՍԱԿՈՒԹԵԾ ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈՒՄԸ XIX-XX ՍԱՄԱԿՄԵՋԵՑՈՍ ՄՈՋՆԱՑԵ	7
--	---

ՈՐԱԿԼՈ ԲԻԵԱՈԾԵ

ԵԹՆՈԿՇՐԻ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ՍԱՄՈՔԱԼԱԺՈ ԾՈՍԿԱՌՍՈՒՄԱԿԵՆ: ԽԱՎՈՆՆԱԼՈՒՑՄՈՍ ԵՒՔԱՑԵՑՈ ՎՈՆՏՎԱՑՔՈՒԹԱ ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈՒՄԸ	14
---	----

Nino Daraselia

Blessing Formulas across Cultures (on material from English, Georgian and Russian)	22
--	----

Isabelle Auge

Les sources épigraphiques arméniennes – Perspectives de recherches	33
--	----

თამաრ ჩოյորաია

ԾՈՂՎՈՒՍԱ ԾԱ ՐԵԱԼՈՒՑՈՍ ՄՈՄԱՐՏԵԲԱ ԿՈԼԵԿՑԻՈՒՐ ՄԵԽՏԵՐԵԲԱՇՈ – Հ. ԳԱՄՍԱԿՇՐՁՈԱԾ „ԾՈՂԾԱՑՈՍ ՄԱՐԶՎԵԲՈՍ“ ՄՈԽԵԳՎՈՒԹ	39
--	----

ԱՆԱ ԵՎԵՋԵԼՈԱՆՈ

ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈՍԱ ԾԱ ՍԱԵՐՏԱՑՄՈՐՈՍՈ ԱՅԹՈՐԵՑՈՍ ՍԱԵՐԵՑՈ 1920-1921 ԵԼԵՑՈՍ ՎԱՐՈՂԱՑՄՈՒՐԵՑՈՍ ՄՈԽԵԳՎՈՒԹ	49
---	----

ԵՌԵՆ ԳԻԵՇԱԾԵ

ԿՈԼԵԿՑԻՈՒՐՈ ԹՐԱՎՄՈՍ ԱՄՍԱԿՎԵԼՈ ԵԱՐԱՑԻՎԵՑՈ (ՑԱՑԱ ԾՄՐԺՄԱԺՈՒՄ ՌՈԹԱԲ, „ԱԺՈՒԱՏՈՍ“ ՄԱԳԱԼՈՒԹԵ)	59
---	----

ՄԱՆԻՓԱԽՈՆ ԲԱԲԱՋԱՆՈՎԱ

ՄԵՋԿՈՒԼՏՈՐՆԻ ԴԻԱԼՈԳ Վ ԽI ՎԵԿԵ	67
-------------------------------	----

ԹԱՆԱՆԱ ՀԱՎԱԿԻՇՎՈՒԾՈ

ՍԱԳԱՆՄԱՆԱՑԼԵՑԼՈ ՎՈԼՈՒՑԻԿԱ ԱԺՐԵՇՈՒԼՈ ՇԱԱ ՍԱՄԱԿՄԵՋԵՑՈՍ ԵՎՐՈՒՊԱՇՈ (ՇՎՈՒԴՈ ՏԱՎՈՍՄԱՎԱԼՈ ԵԼՈՂՈՎՆԵՑՈՍ ՄԱԳԱԼՈՒԹԵ)	73
--	----

ՐԵՎԱՑ ქրօացա

ՍԱԾՔՈՒԹԱ ԱՆՑՈՍԵՄՈՒՑԻՑՄՈՍ ԾՈՐՄՈՐԵԲԱ ՍՖԱԼՈՒՆՈՍ ՄՄԱՐՏՎԵԼՈՒՑՈՍ ԱԵՐՈՂՈՒՄԸ	78
--	----

ივანე წერეთელი

„ჩვენ“ და „სხვაში“: ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

ჩვენი მიზანია, თვალი მივადევნოთ, როგორ მიმდინარეობდა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქართულ რეალობაში „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფების განსაზღვრა-ჩამოყალიბების პროცესი. სტატიაში განვიხილავთ ეთნიკურ ქართველთა „ჩვენ“ ჯგუფის მიერ ეთნიკური სომხების, როგორც „სხვების“ აღქმის მაგალითს, რის საფუძველზეც ვაჩვენებთ, რომ ეთნიკური სომხები ეთნიკურ ქართველთათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან „სხვა“ ჯგუფს წარმოადგენდნენ. საკითხის წარმოჩენას შევეცდებით იმ პერიოდის საქართველოში გამომავალ გაზეთების მასალათა გაანალიზების საფუძველზე.

იმ პერიოდის საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე იმპერიულ სივრცეებში იდენტობების ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა. ქართველთათვისაც აქტუალური გახდა კითხვები: ვინ ვართ ჩვენ? ვინ არიან სხვები? ვინ რჩება „ჩვენ“ ჯგუფში და ვინ – მის გარეთ? რა ნიშნით ივლება ზღვარი „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის?

იდენტობის ფორმირება რთული, მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესია. მით უფრო საინტერესოდ მიმდინარეობს ის მრავალეთნიკურ, მრავალრელიგიურ და მრავალკულტურულ საზოგადოებაში. საქართველოს შემთხვევა ამ კუთხითაც გამოირჩევა. კავკასიასა და, კონკრეტულად, საქართველოში ბევრი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი ცხოვრობს, თავად ეთნიკური ქართველები სხვადასხვა რელიგიურ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან. ეს სიჭრელე და პროცესის მრავალმხრივობა კვლევას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

იდენტობის მშენებელ ნარატივად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ტექსტი, რომელიც ამათუ იმ ფორმით გამოიხატავს, თუ როგორ აღიქვამს ესა თუ ის ხალხი საკუთარ ფიზიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ადგილს მსოფლიოში; როგორ სურს, რომ აღიქმებოდეს „სხვების“ მიერ. იდენტობის ნარატივი განსაზღვრავს აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს ინდივიდი, როგორც ამა თუ იმ ეთნიკური/კულტურული ერთობის წევრი და როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება სხვა ერთობათა წევრებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვითიდენტიფიკაციის პროცესში მე-19 საუკუნის 60-70-იანი ნებებიდან აქტუალიზდება. ამ პერიოდიდან ჩამოყალიბებას იწყებს ქართველთა, როგორც სატიტულო ერის, იდენტობის ნარატივი, უმთავრესად ჟუბლიცისტური წერილებისა და ლიტერატურული თხზულებების სახით. შემდგომ ემატება პროფესიული საისტორიო ნარატივი, აგრეთვე მემუარული ლიტერატურა, პოლიტიკური პროგრამები, მანიფესტები, მოწოდებები, მუსიკალური და დრამატული ნაწარმოებები. ეს ნარატივი, პრაქტიკულად, დღემდე განაგრძობს არსებობას.

შექმნით მედიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ჩვენ“ ჯგუფის შექმნაში. ნაციონალიზმის თეორიის ავტორთა თქმით, შექმნითი მედია ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ეთნიკური იდენტობის განსაზღვრაში. სწორედ ის ქმნის ერთობას, რასაც ბენედიქტ ანდერსონი „წარმოსახვით საზოგადოებას“ უწოდებს. „ჩვენ“ ჯგუფზე საუბარი მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ამ ჯგუფის წევრებმა იციან და აცნობიერებენ, სად გადის მათი ერთობის ზღვარი. გაზეთში მოთხრობილი ამბები, ცნობები თუ ინფორმაციები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს წარმოსახვითი „ჩვენ“ ჯგუფის კონსოლიდაციას და „სხვა“ ჯგუფთან საზღვრის გავლებას. ყველა ერთ წარმოსახვითია იმდენად, რამდენადაც თვით ყველაზე პატარა ერის წარმომადგენელებიც კი ვერ მოახერხებენ საკუთარი ერის სხვა წარმომადგენელთა გაცნობასა და მათთან შეხვედრას, მაგრამ მათ გონიერაში შექმნილია ერთობის ხატი. ამ ხატის შექმნაში, ბენედიქტ ანდერსონის აზრით, სწორედ ბეჭდური მედია ასრულებს მნიშვნელოვან როლს (ანდერსონი 2003: 7).

გაზეთი, თავისისთავად, წამოადგენს ნარატივს, რომელიც ხელს უწყობს იდენტობის შეგრძნების გაჩენას და გაღვივებას. მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობა ამბებს, ცნობებს და ინფორმაციებს იმ სივრცეზე, რომელსაც „საკუთარს“ უწოდებს. მასში მკაფიოდ არის გამიჯნული ცნობები „ჩვენსა“ და „სხვის“ შესახებ.

პირველ რიგში განვიხილოთ გაზეთი „ივერია“. ილია ჭავჭავაძე თერგდალეულების მთავარი ფიგურა იყო. სწორედ მისი დამსახურებაა იმ დროს ჩამოყალიბებული ნაციონალური პროექტის კონტურების, მთავარი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა.

თერგდალეულთა იდეოლოგია, სხვა პროექტებთან ერთად, პირველ რიგში, სწორედ „ივერიას“ საშუალებით მიეწოდებოდა ფართო საზოგადოებას. ხშირ შემთხვევაში, პირდაპირი და არაპირდაპირი სახით, „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მასალებში საუბარი იყო ქართველთა „ჩვენ“ ჯგუფზე. სხვადასხვა მასალაში გვხვდება შემდეგი სახის გამოთქმები: „ჩვენი ენა“, „ჩვენი ლიტერატურა“, „ჩვენი მიწა“, „ჩვენთან თბილისში, აჭარაში, კახეთში, ჩვენს მთიანეთში“, „ჩვენი მწერალი“, „ჩვენი წარმომადგენელი“, „ჩვენი წარსული“, „ჩვენი გმირი მეფეები“ და ა. შ. უამრავი მსგავსი. ამ სტატიათა ავტორებად გვევლინებიან იმ დროის ინტელექტუალები. ნაციონალიზმის თანამედროვე თეორიებში კი ინტელექტუალები განსაზღვრავენ ნაციის შექმნის მიმართულებებს და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ იდენტობის ფორმირების პროცესში, ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ნაციონალური ფასეულობების დამკვიდრებაში, ხალხის შეკავშირებაში, ნაციის შემადგენელი ნაწილებისა და მისი საზღვრების დადგენაში. გაზეთი წარმოადგენს ინტელექტუალთა ნააზრევის საზოგადოებამდე მიტანის სწრაფ საშუალებას. საზოგადოების წევრები ერთმანეთს შეიძლება ვერც კი შეხვდნენ, მაგალითად, თბილისის მცხოვრებლებმა ვერ გაიგონ აჭარაში ან კახეთში მომხდარი ფაქტების შესახებ. გაზეთის მკითხველი კი, როგორც ბენედიქტ ანდერსონი ამბობს, „ზემოდან“ ხედავს ყველაფერს, მისთვის შესაძლებელი ხდება, ყველაზე დიდი თვალი ადევნოს ფაქტებსა და მოვლენებს, რომელიც მნიშვნელოვანია ქართველთა „ჩვენ“ ჯგუფის წებისმიერი კუთხის წარმომადგენლისათვის. აღიქვას, თუ როგორ ხდება ყველაფერი ერთდროულად (ანდერსონი 2003: 9).

გარდა თვითაღქმისა, გაზეთი ხელს უწყობს ჩვენსა და სხვას შორის საზღვრის წარმოსახვას, თუ ვინ შედის ჩვენ ჯგუფში და ვინ რჩება მის გარეთ. თუ თვალს გადავავლებთ გაზეთების ფურცლებს, დავინახავთ, რომ თითქმის ყოველ ნომერში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ცხოვრების შესახებ. ყველაზე დიდ ადგილს მაშინდელი პრესა ეთნიკური სომხების შესახებ თხრობას უთმობს. ხშირ შემთხვევაში, გაზეთში დაცული ტექსტები არ წარმოადგენს იდენტობის მნიშვნელოვან ნარატივებს და ცალკე, გამორჩეულად მათი წარმოდგენა და განხილვა აზრს მოკლებულია. თუმცა თავისთავად ფაქტი, რომ ქართველი ინტელექტუალების ყურადღების არეალში მუდმივად ხდება სომებთა ცხოვრების ამსახველი ფაქტები და მოვლენები, მეტყველებს სომებთა „სხვა“ ჯგუფის მნიშვნელობის ხარისხზე. პრესაში მუდმივად გვხვდება ცნობები, მაგალითად, ოსმალეთის სომხების შესახებ, ამბები სომებთა კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებიდან, რელიგიური თუ საერო დღესასწაულების მიღლოცვები და ბევრი ისეთი ინფორმაცია, რომელიც უშუალო და პირდაპირ კავშირში არ არის ქართულ საზოგადოებასთან.

საგაზეთო პუბლიკაციები, როგორც ერთი მთლიანი ტექსტი, ნათელ სურათს ხატავს ქართველთა და სომებთა ურთიერთობის შესახებ. პრესის მასალების მიხედვით, მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქართველ-სომებთა ურთიერთობის ამსახველი ნარატივი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ ყალიბდებოდა და იცვლებოდა: 1860-იან წლებში, როდესაც ეთნიკური ქართველები რეგიონებიდან ქალაქებში იწყებენ მიგრაციას, ძლიერი ეკონომიკური პოზიციების მქონე სომებს მოქალაქეებთან შეხვედრა ეთნიკურ განსხვავებათა გამოკვეთისა და, აქედან გამომდინარე, პრესაში პოლემიკის საფუძველი ხდება. შემდეგი ეტაპი უკავშირდება 1900-იან წლებში ოსმალეთის იმპერიიდან წამოსული სომხების დასახლებას საქართველოს ტერიტორიაზე, რის შემდეგ პრესაში პოლემიკა მწვავდება. მას კიდევ უფრო ამძაფრებს წარმომადგენლიბით ორგანოებში სომები მოქალაქეების ძლიერი პოზიციები. დაბოლოს, 1905 წელს კავკასიის მასშტაბით სომ-

ხებსა და „თათრებს“ შორის დაწყებული დაპირისპირება და სისხლისღვრა, რომლის შესახებ ქართული პრესა მუდმივად აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას.

ქართველი ხალხის, როგორც ნაციის ჩამოყალიბებაში, დიდი როლი ითამაშა სხვა ეროვნებებთან კონტაქტმა. დიდი ხნის განმავლობაში, და, მით უმეტეს, მე-19 საუკუნეში, საქართველოს ურბანულ ცენტრებში დომინანტი სხვა ჯგუფს სომხები ნარმოადგენდნენ. როგორც რონალდ სუნი აცხადებს, სომხებთან კონტაქტი და კონფრონტაცია იყო უპირველესი სტიმული ქართველთა თვითგანსაზღვრისათვის. ქართველთა მზარდი რაოდენობა მიდიოდა ქალაქებში და ხვდებოდა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს. თბილისის მრავალეთნიკურ კონტექსტში საზღვრები ეთნიკურ ჯგუფებს შორის მკაფიოდ ისაზღვრებოდა და გადაისინჯებოდა (Suny 1988: 114-115). გაძლიერებულმა კონტაქტმა ქალაქთან, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, განამტკიცა განსხვავების შეგნება ქართველებსა და სხვა ხალხებს შორის.

ტრადიციული ურთიერთობები ქართველებსა და სომხებს შორის მკვეთრად შეიცვალა 1860 წლის შემდეგ. ქართველი თავადაზნაურობა – ერთ დროს უპირობო პირველი ფენა – შეძლებული სომხური ბურჟუაზიის მხრიდან საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. სიახლოვე სომხებთან ნარმოშობდა ერთგვარ კონფრონტაციას. სხვადასხვა კლასის წარმომადგენელი ქართველები აღმოჩნდნენ კარგად დამკიდრებული, ფინანსურად ძლიერი ურბანული საშუალო ფენის პირისპირ, რომელიც სხვა ენაზე ლაპარაკობდა, სხვა ეკლესიაში დადიოდა და განსხვავებული ფასეულობები ჰქონდა. სოციალური განსხვავება კლასებს შორის გააძლიერა კულტურულმა და ენობრივმა განსხვავებებმა (Suny 1988: 116).

ერთი მხრივ, სომეხი ძმა და მეზობელია, რომელთანაც ისტორიული თანაცხოვრება და ქრისტიანობა გვაკავშირებს. ის არ არის მტერი, ვისაც ქართველი ებრძვის, მაგრამ წარმოადგენს მთავარ მეტოქეს. მეტოქეობა განაპირობა საქართველოში სომეხთა რიცხოვნობამ, ძლიერმა ეკონომიკურმა პოზიციებმა. განსაკუთრებით მნშვენელოვანია დედაქალქში, თბილისში შექმნილი მდგომარეობა.

1870-იანი წლებიდან ქონებრივ ცენტზე დამყარებულმა საქალაქო თვითმმართველობის არჩევითმა სისტემამ სომეხთა პოლიტიკური პოზიციები განამტკიცა. საქალაქო საბჭოს უმრავლესობას სომხები შეადგენდნენ, ქალაქ თბილისის თავი ეროვნებით სომეხი იყო. ეს კი მიუღებელი აღმოჩნდა რეგიონებიდან ქალაქში გადმოსული ქართველებისათვის. 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა სტატია „წერილი გადაღმითგან“ („ივერია“ 1886, №260). ავტორი წერს მეგობარს და უყვება, თუ როგორი შეხედულება აქვთ ევროპელებს ქართველებზე. ვინმე ელიზე რეკლიუს აზრით, ქართველები ყველაზე ჩამორჩენილები არიან კავკასიაში. ამის მიზეზად კი ასახელებს შემდეგს: „ქართველები სოფლებში მცხოვრებლები არიან, სომხები კი – მოქალაქენი“ („ივერია“ 1886, №260). როგორც ჩანს, ეს საკითხი ადარდებთ თავად ქართველებსაც.

1889 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ტფილისის ქართველთა ინტელიგენცია“ („ივერია“ 1889, №114). სათაურიდანაც კარგად ჩანს სტატიის შინაარსი. ავტორი დასაწყისშივე აცხადებს, რომ „სამწუხარო ყოფაა ტფილისის ქართველი ინტელიგენციის ყოფა“. იგი დანანებით საუბრობს, რომ ქართველთა საზოგადო მოღვაწეობა არსად ჩანს. ჩვენთვის საინტერესო ამ სტატიაში გახლავთ მეორე ნაწილი, სადაც ავტორი ქართველ ინტელიგენციას ადარებს თბილისის სომეხს ინტელიგენციას: „აპა შეხედეთ ტფილისის სომეხთა ინტელიგენციას, სად არა ხედავთ?... ტფილისის ქალაქის რჩევაში უმრავლესობა მას ეკუთვნის... ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების შემადგენელი და მმართველი იგია. ექვსი-შვიდი უურნალ-გაზეთი აქვს და ყველა ეს ჩვენს დედაქალაქს ტფილისში“ („ივერია“, 1889, №114). როდესაც ქართველი ინტელექტუალები საუბრობენ ქართველთა ნაკლოვანებებზე, თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება მათი შედარება სომხებთან. ავტორი სვამს კითხვას: „რისგან არიან სომეხი უფრო დაწინაურებული? იმით, რომ მიხვედრილი არიან, რა ძალა აქვს ერთმანეთთან კავშირს, ერთობას... აი, ამიტომ ვამბობთ, რომ დროა ტფილისის ქართველ ინტელიგენციამ შეიგნოს ძალა ერთად მოქმედებისა და მეთაურობა გაუწიოს ტფილისის ქართველობას...“ („ივერია“ 1889, №114). სტატიის ავტორი ცდილობს, სომხების მაგალითით ქართული საზოგადოების კონსოლიდაციას შეუწყოს ხელი. მთავარი მიზანი კი „ჩვენს დედაქალაქს ტფილისში“ უფლებების გაზრდაა, მიზეზი სომხების გაბატონებული პოზიციებია.

ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ტექსტები კარგად აჩვენებს, რომ ქართველთა და სომებთა ურთიერთობა მჭიდროა, ხშირ შემთხვევაში ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ მნიშვნელოვან ქალაქებში.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულია ანდრია ბენაშვილის პიესა „დაუსრულებელი ამბავი ანუ თელაველი ოტელო“. მოქმედება ხდება ქალაქ თელავში, ერთ-ერთ სომხურ ოჯახში. ეს ფაქტი უკვე თავისთავად მნიშვნელოვანია მკითხველისათვის: იგი ხედავს, რომ, ერთი მხრივ, სომხები მათ-თან ერთად, ერთ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მეორე მხრივ კი ხაზი ესმება განსხვავებას ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ სომხებს შორის. პიესაში მოქმედი პირები, ეთნიკური სომხები – ნუშო და სოფო საუბრობენ სომხურის, როგორც მშობლიური ენის, მნიშვნელობის შესახებ. უშუალოდ ტექსტს მივყვეთ.

სოფო – ეჰ, ქალო, არც შენ გეყურება! აბა ერთი მიპასუხე, გიყვარს შენი მშობელი ქვეყანა?

ნუშო – ქალო, თავის ქვეყანა ვის არ უყვარს? შარშახ ორი კვირა ველისციხეში ვიყავი და მანამ თელავში არ ჩამოვიდოდი, მე ჩემი დამემართა.

სოფო – ეჰ, არ მესმის შენ რა რჯულისა ხარ?

ნუშო – სომხისა.

სოფო – ჰო, და შენი სამშობლო სომხეთია, შენი დედაენა სომხურია, და ამიტომ უნდა იცოდე სომხური, გინდა გასწავლო?

ნუშო – საქმე გამოგნეუტია შენცა! **სოფო (გაჯავრებით)** – სომხურ ენაზე ამას ამბობ? უთუოდ ქართველმა ქმარმა გადაგრია! სომებმა ქართველი არ უნდა შეირთოს, იმიტომ რომ რჯული იკარგება! შენი შვილები ქართველის რჯულისა იქნებიან.

ნუშო – სულ ერთია, ქალო, ყველას ქრისტე გვნამს!.. “

ამ პატარა და თითქოს უმნიშვნელო მონაკვეთში მეტად მნიშვნელოვანი პლასტების გამოკვეთა შეგვიძლია. მკითხველი იღებს რამდენიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც ნაციონალური იდეოლოგიის შემცველია: ფიქრს იწყებს მშობლიური ენის ცოდნის მნიშვნელობაზე; წარმოსახვით საზღვარს ავლებს ქართველთა „ჩვენ“ ჯგუფსა და სომებთა „სხვა“ ჯგუფს შორის, რადგან მათ სხვადასხვა მშობლიური ენა აქვთ; გარდა განსხვავებისა, აფიქსირებს, რომ ქართველებსა და სომხებს შორის საერთო იდენტობის კუთხით მაინც არსებობს – ეს არის ქრისტე, რაც მნიშვნელოვანია მესამე სხვა ჯგუფთან შედარების შემთხვევაში; აცნობიერებს, რომ სომხები ჩვენი ქალაქის, ჩვენი ქვეყნის მცხოვრები არიან.

საინტერესო სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1900 წელს. ავტორი გახლავთ მღვდელი ზაქარია გულისაშვილი, რომელიც თბილისიდან მიემართება მშობლიურ ქალაქ სიღნაღისაკენ. იგი გულისწყობით საუბრობს საქართველოში ქართველების სიმცირეზე: „ტფილისში ვჩივით ქართველების სიმცირეს... ასი ვერსი მანძილი უნდა გამოიარო ამ გზით, ათასი მილეთის სხვადასხვა ხალხი უნდა ნახოთ, სულ საქართველოს მინა-წყალზედ იაროთ და ქართველი კი ვერსად დაინახოთ წამლად“ („ივერია“ 1900, №160). ზ. გულისაშვილის ეს დამოკიდებულება კარგად გამოხატავს ზოგად პოზიციას ქართველთა სიმცირისა და უცხოთა სიმრავლის მიმართ. მთავარი სხვა კი ეთნიკური სომხია. ფელეტონში სწორედ ქართველებსა და სომხებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებზეა ყურადღება გამახვილებული. მივყვეთ ტექსტს: „გარეშე ელფერი ნამდვილ ქართული ქალაქისა აქვს (საუბარია ქალაქ სიღნაღებზე – ი.ტ.). აქაურ სომხებს ქართველებისგან ვერ გაარჩევთ, ვიდრე ერთ კვირა დღეს ქართულ და სომხურ ეკლესიათა შუა არ დადგებით. მხოლოდ იქ ირჩევიან, რადგან ერთი – მომეტებულად მიდიან სომხის ეკლესიაში და მეორენი – მცირედი ქართულში... სიღნაღის სომხობა ძლიერია ეროვნულის გრძნობით...“ („ივერია“ 1900, №160).

ქართველი ინტელექტუალები ღიად საუბრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სომები ბურჟუაზიის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე. შექმნილი სიტუაციის გამო, სულ უფრო მეტი იწერება სომხების წარმოშობაზე, ისტორიასა თუ დღევანდელობაზე. ჩვენი აზრით, მსგავსი შინაარსის პუბლიკაციები წარმოადგენს იდენტობის მნიშვნელოვან წარატივებს. მათში ხაზი ეს-მება ქართველთა და სომხეთა შორის ინტერესების, მისწრაფებების და სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობის თვალსაზრისით არსებულ განსხვავებებს. ქართველი მკითხველი, რომელსაც იმ პერიოდში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ აქვს საერთოეთნიკური ერთობის განცდა და რომელ-

შიც მძღავრობს კუთხური მიუთვნებულობა, ეცნობა პუბლიკაციებს, სადაც მკაფიოდაა ხაზგას-მული, თუ ვინ არის სხვა და ვინ შედის ჩვენ ჯგუფში.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის „ქვათა ლალადი“, რომელიც პირველად 1899 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ და შემდეგ წიგნად გამოიცა (ჭავჭავაძე 1987). იგი კარგად თავსდება ძმობა-კონფრონტაციის ნარატივის ფარგლებში. ნაშრომის ხასიათს კარგად გამოხატავს წამდლვარებული ამონარიდი „ვეფხისტყაოსნიდან“: „ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მანყინარობს; მოყვარესა-მტერსა ვუფროთხი, მემოყვრება, მოცინარობს“, რომელიც იმ-თავითვე წათლად ამჟღავნებს ილიას დამოკიდებულებას საკითხისადმი. ძირითადი პრობლემა, რასაც ილია ეხება, სომეხი და რუსი მეცნიერების მიერ ქართველი ერის დაკინიება და სომხების წინა პლანზე წამოწევაა. მისი აზრით, სწორედ ამ „პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა“ აუცირუეს ერთმანეთზე გული ქართველებსა და სომხებს, თორემ, მისი შენიშვნით, ორმოცი-სამოცი წლის წინ მათ ასე არ ჰყავდათ ერთმანეთი ათვალისწილი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი იყვნენ, სომხებს ქართველი და ქართველს სომეხი არ სძულდა. ჭავჭავაძე სომეხ-ქართველთა შერყეულ ურთიერთობას სომეხი მეცნიერების „გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიაობასა და ონბაზობას“ მიაწერს. მისი თქმით, ეს უკანასკნელი ცდილობენ ისტორიის დამახინჯებით კავკასიაში საკუთარი უპირატესობის დამტკიცებას; წერენ ისეთ საისტორიო წაშრომებს, სადაც საქართველოს ტერიტორიები ისტორიული სომხეთის მიწებად, ხოლო ქართული კულტურა კი სომხური კულტურის წაწილად არის მოხსენიებული. მიუხედავად აღმფოთებისა, ილია ცდილობს, არ დაკარგოს ზომიერება და ერთმანეთისგან მიჯნავს, ერთი მხრივ, ზემოთ აღწერილ მიდგომას, მეორე მხრივ კი, მთელ სომეს ერთან დამოკიდებულებას. მისი განცხადებით, სომხები მშვიდობიანი, მშრომელი და გამრჯვე ერია, რომელთანაც ქართველებს დაპირის-პირება არ აქვთ.

საგაზეთო პუბლიკაციებში კარგად ჩანს ორი მხარე: ერთი მხრივ – „სულგრძელი“ ქართველი გლეხი, რომელსაც ეკუთვნის მინა-მამული და, მეორე მხრივ, „უცხო ქვეყნელი სომეხი“, რომელიც „ჩარჩ-ვაჭრობით“ ხელში იგდებს ქონებას. „ჩარჩ-ვაჭარი“ უარყოფითი ეპითეტია, რომელიც ავტორებისთვის და, აქედან გამომდინარე, მკითხველისთვისაც ასოცირდება მტაცებელთან, ხოლო ვაჭრების უმრავლესობა ეთნიკური სომხები არიან. მკაფიოდ ესმება ხაზი იმას, რომ „სომეხ-ჩარჩ-ვაჭარი“ სხვაა, რომელსაც არ ეკუთვნის „მამა-პაპათა სისხლით მორწყული“ ქართული მიწა/მამული.

მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე დაწყებულ იდენტობის ფორმირების პროცესში კარგად არის გაცნობიერებული ჩვენ და სხვა ჯგუფის საზღვრები, დაპირისპირების მიზეზი, ის, თუ რა არის წინააღმდეგობის საფუძველი. განხილული ტექსტები წარმოგვიდგენენ იდენტობის ანალიტიკურ ასპექტს, რომელიც განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს სხვა ჯგუფის აღქმა. ინტელექტუალთა წააზრევი, რომელსაც პრესის საშუალებით ეცნობოდა მკითხველი, ხდება სომებთა მიმართ ქართველთა დამოკიდებულების არქიტექტორი. იკვეთება წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება: სომეხი – „მოძმე“ და, პარალელურად, „მეტოქეა“.

ასპარეზზე მარქსისტების გამოსვლა პოლემიკას კიდევ უფრო საინტერესოს და მრავალმხრივს ხდის. მარქსისტების გავლენით, იდენტობის ნარატივი ივსება ახალი მნიშვნელობითა და მიმართულებით. მათი პოლიტიკური პლატფორმიდან გამომდინარე, იკვეთება იდენტობის ახალი სივრცეები – ეთნიკურ და ეკონომიკურ განზომილებას იდეოლოგიური ასპექტიც ემატება. თუ თერგდალეულებმა ხელი შეუწყეს ეთნიკურ დონეზე ჩვენ ჯგუფის გააზრებას, მარქსისტებმა შეავსეს ეს მიდგომა. ქალაქებში ჩამოსახლებული გლეხების უმრავლესობა მუშა-მოსამსახურებად იქცა, ანუ შეიქმნა გარკვეული სოციალური ფენა, რომელსაც მარქსისტები პროლეტარიატს უწოდებდნენ. მათთვის სახელმწიფო, პოლიტიკა და, მითუმეტეს, „ეროვნულობა“ მეორეხარისხოვანი ცნებები იყო და წინ იწევდა ხალხთა ძმობაზე დაფუძნებული, ზენაციონალური, კლასობრივი ერთობის ფენომენი. ეს იყო იდენტობის ახალი სივრცის კონტურების გამოკვეთა, რომელსაც ეხმიანება სტივენ ჯონსი და ეთნიკური და კლასობრივი იდენტობების მონაცვლეობაზე საუბრობს (ჯონსი 2005).

პრესაში აღწერილი ფაქტები (მაგალითად, სხვადასხვა ეროვნების მუშების ერთობლივი მონაწილეობა გაფიცვებში და სხვ.) ადასტურებს, რომ ამ პერიოდში ღვივდება კლასობრივი სოლი-დარობის განცდა. შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ცვლილებე-

ბის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენ და სხვა ჯგუფების ეთნიკური ნიშნით წარმოსახვის პარალელური პროცესების შედეგად, ჯგუფებს შორის ეთნიკური და სოციალური წინააღმდეგობების ერთგვარი ურთიერთაღრევა მოხდა. მაგალითად, ძნელი იყო იმის გარკვევა, ქართველთათვის მტერი სომები ერი იყო თუ სომები ბურუჟუაზია? პრობლემები პოლიტიკური წინააღმდეგობებით იყო განპირობებული თუ ინტერეტნიკური დაპირისპირებებით?

პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობის პარალელურად, მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე ქართველთა და სომებთა კულტურულ ცხოვრებაში იკვეთება ურთიერთინტერესის ნიშნები, ჩანს დაახლოების მცდელობები. ცდილობენ არა მარტო სხვისი, არამედ საკუთარი ნაკლის და ერთმანეთის დაფებითი მხარეების დანახვასასაც. წერილების პათოსიდან ნათლად ჩანს, რომ კულტურის სფერომ უნდა გაანეთირალოს პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში არსებული კონფრონტაციის ნეგატიური შედეგები და ხელი შეუწყოს ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაარსებობას. კულტურის სფეროში დაახლოების მაგალითებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული ლიტერატურის ნიმუშების სომხური თარგმანების გაჩენა და სომებთა ინტერესი ქართული კულტურის მოღვაწეების საშრომებისადმი, თანამშრომლობა თეატრალურ დასებს შორის და სხვა.

ჩვენი მიზანი იყო თვალი მიგვედევნებინა, როგორ მიმდინარეობდა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქართულ რეალობაში „ჩვენ“ და „სხვა“ ჯგუფების განსაზღვრა/ჩამოყალიბების პროცესები. სტატიაში განვიხილეთ ეთნიკურ ქართველთა „ჩვენ“ ჯგუფის მიერ ეთნიკური სომხების, როგორც „სხვების“ აღქმის მაგალითი, რის საფუძველზეც ვაჩვენეთ, რომ ეთნიკური სომხები ეთნიკურ ქართველთათვის ყველაზე მნიშვნელოვან „სხვა“ ჯგუფს წარმოადგენდა.

დასკვნის სახით, მინდა რონალდ სუნის მოსაზრება შემოგთავაზოთ, რომლის თანახმად, მცირე ნაციებს იშვიათად აქვთ ჩაკეტილობისა და დამოუკიდებლობის ფუფუნება. ქართველობის გამოყოფა მეზობლებთან მუდმივიდ რთული ურთიერთგაცვლის პროცესისაგან შეუძლებელია (Suny 1988: 302). საგაზეთო ტექსტები მკაფიოდ ადასტურებს ამ სიტყვებს. ნათელია, თუ რა დიდი როლი ითამაშა სომხურმა თემმა ქართველთა იდენტობის განსაზღვრაში. სომები წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ „სხვა“ ჯგუფს ქართული „ჩვენ“ ჯგუფის ფორმირების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდერსონი, ბენედიქტ. წარმოსახვითი საზოგადოებანი. თბილისი, 2003

Suny, R. G. The Making of the Georgian Nation. Indiana University Press, Hoover Institution Press. 1988

წყაროები

- „დროება“, 1870, №14, №26.
- „დროება“, 1872, №2.
- „დროება“, 1875, № 7, № 8, №13.
- „დროება“, 1876, №17.
- „ივერია“, 1880, №349.
- „ივერია“, 1881, №150.
- „ივერია“, 1886, №260.
- „ივერია“, 1888, №46, №198.
- „ივერია“, 1889, №114.
- „ივერია“, 1892, №46, №86, №87.
- „ივერია“, 1900, №160, №261.
- „ივერია“, 1901, №188.
- „ივერია“, 1903, №2, №3, №9, №33, №37, №38, №91, №124, №131.
- „ივერია“, 1905, №11, №17, №21.
- „ივერია“, 1909, №9.
- „კვალი“, 1893, №2, №51.
- „კვალი“, 1894, №27.

- „ქვალი“, 1896, №33, №48.
„ქვალი“, 1897, №9, №37, №46.
„ქვალი“, 1900, №28, №22.
„ქვალი“, 1901, №8.
„ქვალი“, 1904, №1.
„მშაკი“, 1872, №1.
„მშაკი“, 1874, №1, №3.
„მშაკი“, 1875, №20.
„მშაკი“, 1876, №37.
„მშაკი“, 1877, №7, №28, №44.
„მშაკი“, 1879, №54, №58.
„მშაკი“, 1880, №167.
„მშაკი“, 1881, №68.
„მშაკი“, 1882, №107.
„მშაკი“, 1883, №141, №144.
„მშაკი“, 1891, №58, №110, №111, №127.
„მშაკი“, 1894, №8, №98, №114.
„მშაკი“, 1902, №109, №131, №259.
„მშაკი“, 1905, №42, №83.
„მშაკი“, 1910, №47.
„ნოგ ცარდ“, 1906, №4.

IVANE TSERETELI

“WE” AND “OTHERS” – THE PROBLEM OF INTERRELATION OF ETHNIC GROUPS IN GEORGIA (THE TURN OF THE 20TH CENTURY)

Summary

The paper aims to analyze the interrelation of the titular nation and ethnic minorities in the era of formation of the Georgian nationalism. To this end, various newspapers, published at the turn of the 20th century, will be analyzed in detail. Attitudes of ethnic groups expressed in these newspapers have been determining the self-perception and interrelation of ethnic groups (titular and non-titular) residing on the territory of Georgia.

Georgia is a multicultural and multiethnic state. Civic integration and maintenance of ethnic/cultural diversity are those problems Georgia is facing currently, in the era of civic nationalism. The problem of identity becomes more acute in the era of nationalism. Narrative plays a crucial role in the determination of identity. Any text, which reflects the self-perception of physical, cultural and intellectual place of society in the world and provides a key to how they should be perceived by *others* could be considered as an identity narrative. Identity narrative also determines the mode of action of an individual as a member of particular ethnic and cultural entity and defines their attitudes towards the members of the out-group.

Press materials are important narratives. According to nationalism theories, printed press plays a crucial role in the determination of the *in-group*, i.e. it sets the foundation for the formation of a nation as an imagined community and determines the relations between the ethnic groups. The press materials published at the turn of the 20th century are the primary target of our research. Articles, reflecting relations among Georgians, as the titular nation, and ethnic and cultural minorities residing on the territory of Georgia, quite often appear in different newspapers. The newspaper articles reflect cultural and economic life, the issues of representations of ethnic minorities in the local self-government unit of Tbilisi and other sensitive issues related to the Muslim Georgians of Adjara region. No fact, related to ethnic minorities, is left without the attention of newspapers.

The study attests the complexity of ethnic self-identification at the beginning of the 20th century; it also proves that the Georgian intellectual elite was aware of the importance of cultural diversity of Georgia and seriously considered envisaging this fact in the future formation of the Georgian state.

ირაკლი ჩხაიძე

ეთნიკური და სამოქალაქო დისკურსისაც: ნაციონალიზმის ეტაპი პოსტსაბჭოთა საქართველოში

შესავალი

„ერთ არის მხოლოდ მრავალი საუკუნის მემკვიდრეობა და რაღაც უძრავი საგანი, რომელ-საც შეინახავ და გააპრიალუებ ისე, როგორც სამუზეუმო ექსპონატს. ერთ ასევე ანმყოსა და მომავ-ლის პროექტია, პროექტი, რომელიც გვაერთიანებს ჩვენი პოლიტიკური, სოციალური, რელიგიუ-რი, ეთნიკური და რეგიონალური განსხვავებებისა და თავისებურებების მიუხედავად. ერთ არც მხოლოდ ეთნიკურობაა და არც მხოლოდ საერთო ისტორია. ერთ ნაციონალური პროექტია და მინდა გკითხოთ: რა არის საქართველოს ეროვნული პროექტი? რა არის ის პროექტი, რომელიც ყველას გვაერთიანებს როგორც ერს და არა ადამიანებისა და საზოგადოებების ერთობად? ეროვ-ნული პროექტი, ჩემი ძვირფასო თანამოქალაქენო, ეფუძნება მარტივ პრინციპებს, რომლებსაც, იმედი მაქვს, ამ დარბაზში მყოფი ყველა ადამიანი ვიზიარებთ. ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, კეთილდღეობა და ევროპა. ყველა ეს პრინციპი ერ-თმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თუკი რომელიმე მათგანი გამოაკლდება, შეიძლება, მთელი ნაშენი ჩამოიშალოს¹ – ეს სიტყვები საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშ-ვილს ეკუთვნის, რომელიც მან 2013 წლის 8 თებერვალს წარმოთქვა, მას შემდეგ, რაც საქართვე-ლოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის შენობასთან ერთმანეთს პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები და ყოფილი მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალუ-რი მოძრაობის“ წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი კონსტრუქტივისტია, რომელმაც, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეაზე დაფუძნებული ერი-სახელმწიფოს შექმნა დაისახა მიზნად. „მრავალეთნიკური ქართველი ერი“ არის ტერმინი, რომელსაც იგი ყველაზე ხში-რად იყენებდა მრავალრიცხოვანი ოფიციალური შეხვედრებისა თუ მიმართვების დროს.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქართული ნაციონალიზმის განვითარების ახა-ლი ეტაპი დაიწყო. პოლიტიკური ელიტის მიერ შემოთავაზებული იდეების გარშემო საქართვე-ლოს საზოგადოების კონსოლიდაცია რიგი თავისებურებებით ხასიათდებოდა. იმისათვის, რომ პროცესის შესახებ გარკვეული სურათი შეიქმნას, აუცილებელია პოსტსაბჭოთა ქართული ნაცი-ონალიზმის დინამიკი გააზრება, ასევე იმ ფაქტორების გაანალიზება, რომლებმაც მისი განვი-თარების მიმართულებები განსაზღვრეს.

ერისა და ნაციონალიზმის კვლევა მნიშვნელოვანი სირთულით და წინააღმდეგობრიობით გა-მოიჩინება. ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: მათი წარმოშობის დრო, ბუნება, ადგილი და მომავალი თანამედროვე სამყაროში, აკადემიურ წრეებში მწვავე დებატები მიმდინა-რეობს. სტატიის ფარგლებში საკვლევი საკითხის განსასაზღვრად აუცილებელია მკაფიო თეორი-ული საფუძველი და მეთოდოლოგიური ჩარჩო. აქედან გამომდინარე, მოკლედ შევეხოთ სამეცნი-ერო ლიტერატურაში განხილულ თეორიულ პრობლემებს და შევეცადოთ ჩვენთვის მისაღები მიდგომის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე მსოფლიოში ნაციონალიზმი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან და ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევა. მე-19 საუკუნიდან დღემდე, მან საერთაშორისო სისტემაში რევოლუციური ცვლი-

¹ <http://president.gov.ge/ge/PressOffice/News?8137> (მისაწვდომია 18.04.2014)

ლებები განაპირობა – განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ერი-სახელმწიფოების ფორმირებაში, ცენტრალური და აღმოსავლეთევროპული იმპერიების რღვევაში, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებასა და სამი კომუნისტური სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის – დაშლაში. ნაციონალიზმის ფენომენის სიძლიერესა და გავლენაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის მიწურულს, დიდი პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში, ბევრმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ დაივინყა თავისი კომუნისტური, ინტერნაციონალური წარსული და მხურვალე ნაციონალისტად მოგვევლინა. უკანასკნელ წლებში, ლიბერალურ-დემოკრატიულ დასავლეთშიც კი, ნაციონალისტური იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური გაერთიანებები ელექტორალური წარმატებით სარგებლობენ. გამომდინარე აღნიშნულიდან, ბოლო პერიოდში დასავლურ (და არა მხოლოდ დასავლურ) სამეცნიერო წრეებში ნაციონალიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ამერიკელ სოციოლოგს, მაიკლ ჰერტერს თუ დავესესხებით, გამოჩნდა ნაციონალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილი სტატიებისა და წიგნების „მთელი მთები“ (ჰერტერი 2003: 25).

მკვლევართა დიდი ნაწილი ნაციონალიზმს უკავშირებს ბევრ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფაქტსა თუ მოვლენას – მაგალითად, ერთი მხრივ, საფრანგეთის რევოლუციას და, მეორე მხრივ, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელ ეთნიკურ წმენდას, ძალადობას, სამხედრო დანაშაულებს და სხვა. ასეთი მრავალფეროვნება ნათლად აჩვენებს ამ ფენომენის კომპლექსურობას და მისი შესწავლის სირთულეს. ნაციონალიზმის კვლევა ასევე მნიშვნელოვანი ამბივალენტურობით ხასიათდება. ერთი მხრივ, ის ასოცირდება მილიტარიზმთან, შოვინიზმთან, ომთან, ირაციონალიზმთან, არატოლერანტულობასთან, პომოგენიზაციასთან, ძალადობრივ ასიმილაციასთან, ქსენოფობიასთან, ეთნიკურ წმენდასთან და ა.შ. ხოლო, მეორე მხრივ, ნაციონალიზმის ფენომენი უკავშირდება დემოკრატიას, თვითგამორკვევას, პოლიტიკურ ლეგიტიმურობას, სოციალურ ინტეგრაციას, სოლიდარობას, ლირსებას, იდენტობას, კულტურულ აღორძინებას, მოქალაქეობას, ლიბერალიზმს და სხვა. ის აერთიანებს ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს კონცეპტუალურ ორაზროვნებას ნაციონალიზმის შეფასებისას. მისი დახასიათება და შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ამ ტერმინის გამოყენებისას (Brubaker 2006: 132).

მსგავსი შეიძლება ითქვას ერის ცნების შესახებ, რომელიც ასევე რთულად განსასაზღვრია. მასთან დაკავშირებით ბევრი განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება არსებობს. მე-19 საუკუნეში მოღვაწე ბრიტანელი ესეისტის, ვალტერ ბეიგზოტის სიტყვით, „რა არის ერი, ჩვენ ვიცით მხოლოდ იქამდე, სანამ ამის შესახებ რამეს გვითხვავენ“ (Bagehot 1972: 20). ბეიგზოტი მე-19 საუკუნეში, ერებისა და ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში ცხოვრობდა, როდესაც მხოლოდ ფეხს იყიდებდა ამ პრობლემებისადმი მეცნიერული ინტერესი. დღეს, მე-20 საუკუნეში (განსაკუთრებით მის მიწურულს) განვითარებული მრავალფეროვანი და ტრაგიკული პროცესების ფონზე, რომელთა მონაწილე ძირითადი აქტორები სწორედ ერები და ეთნიკური ჯგუფები იყვნენ, ერის (იგივე ნაციის) ცნების მიღებული და ფართოდ გაზიარებული დეფინიციის მიგნება მნიშვნელოვნად გართულდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო სისტემამ მსოფლიო ორ ნაწილად გაყო და იდეოლოგიური დაპირისპირების რეჟიმში გადაიყვანა. „სოციალისტურ ბანაკ-სა“ და „თავისუფალ სამყაროს“ შორის წინააღმდეგობამ თითქოს შესაუსტა ნაციონალიზმის როლი და მნიშვნელობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, ინტერნაციონალური რიტორიკა მოჩვენებით ხასიათს ატარებდა და მხოლოდ ნიღბავდა საზოგადოებებში არსებულ ძლიერ ნაციონალისტურ განწყობებს (Dieckhoff; Jaffrelot 2005: 1). აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ცივი მომის დასრულებაში და კომუნისტური იდეოლოგიის კრახში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ნაციონალურმა ერთობებმა ითამაშეს. ბიპოლარული მსოფლიოს მოსალოდნელზე სწრაფმა რღვევამ რადიკალურად შეცვალა საერთაშორისო სისტემა და ნათლად აჩვენა ნაციონალიზმის ორსახოვანი ბუნება – ეროვნულ ერთობებზე დაფუძნებული დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და

ხავერდოვანი ტრანსფორმაციის პარალელურად, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში სისხლის-მღვრელი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გაჩაღდა. მაგალითად, თუ, ერთი მხრივ, ბერლინის კედლის დანგრევა, გერმანელი ერის კონსოლიდაცია, ბალტიისპირეთის ქვეყნების ლიბერალიზაცია თავისუფლებისა და დემოკრატიის ნამდვილ ზეიმად იქცა, მეორე მხრივ, კავკასიასა და ბალკანეთში რადიკალურმა ნაციონალურმა მოძრაობებმა უზარმაზარი მსხვერპლი, ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ეთნიკური წმენდა და სამოქალაქო დაპირისპირებები გამოიწვია.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვშია, რომელსაც, დამოუკიდებლობის გარიურაჟზე, ეთნიკურმა ნაციონალიზმა მძიმე პრობლემები შეუქმნა და პოლიტიკური, სოციალური და ტერიტორიული დეზინტეგრაცია განაპირობა.

ნაციონალიზმის, როგორც აკადემიური კვლევის ობიექტისადმი, ძირითადად, ორი სახის მიღებობა არსებობს: პირველ შემთხვევაში, მკვლევართა ინტერესის საგანს წარმოადგენს მისი როლი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებაში. ნაციონალიზმის უმთავრესი მიზანი სწორედ სუვერენული პოლიტიკური სუბიექტის ჩამოყალიბებაა. კლასიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში (ბენედიქტ ანდერსონი, ერნესტ გელნერი, ენტონი სმითი და სხვები) ეროვნული მოძრაობები და ერის ფორმირების პროცესები სწორედ ამ კონტექსტშია განხილული. მეოცე საუკუნის მიწურულს, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამ განსხვავებული კვლევითი მიდგომის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელიც სწავლობს, თუ როგორია ნაციონალიზმის ბეჭი მას შემდეგ, რაც მიიღწევა მისი ძირითადი მიზანი – სუვერენული ქვეყნის ფორმირება (Barrington 2006: 8).

საქართველოს უახლეს ისტორიაში განვითარებული პროცესის იდენტობისა და ნაციონალიზმის კვლევების პერსპექტივიდან გააზრება საყურადღებო და მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქვეყნის რეალობის ინტერნაციონალიზაციისა და კონტექსტუალიზაციის, ასევე ახლო წარსულის გამოცდილების კრიტიკული ანალიზის თვალსაზრისით.

გზა დამოუკიდებლობისკენ – რადიკალიზაცია, ქართული ნაციონალიზმის აღმავლობა და მარცხი

საბჭოთა საქართველოს გზა დამოუკიდებლობისკენ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, საბჭოთა კავშირში გამოცხადებული პოლიტიკური გარდაქმნის („პერესტროიკის“) პალალელურად დაიწყო. ეროვნული მოძრაობა, განვითარების საწყის პერიოდში, არ ატარებდა რადიკალურ ხასიათს და საბჭოთა ხელისუფლების კონკრეტული ქმედებების წინააღმდეგ იყო მიმართული. სტივენ ჯონსის სიტყვით, თავდაპირველად ის გამოხატავდა ქართველების რომანტიკულ დამოკიდებულებას საკუთარი ტერიტორიისა და ლანდშაფტის მიმართ (Jones 2013: 29). პირველი მასობრივი პროტესტი ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ გამოიხატა, რომელსაც თბილისი ვლადიგორეგი გადავითან მიმდევად. პირველი მოძრაობის ლიდერები საქართველოს მთიანი რეგიონებისთვის ეკოლოგიურ საფრთხეს ხედავდნენ. ისინი ასევე მიიჩნევდნენ, რომ რკინიგზის გაყვანა მთიანეთში ეთნიკური სურათის შეცვლას და არაქართველების ჩასახლებას გამოიწვევდა. შემდეგი მასობრივი პროტესტი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე საბჭოთა არმიის წვრთნების წინააღმდეგ იყო მიმართული. პროტესტის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ ეს ფაქტი საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ ძეგლს აზიანებდა. პროტესტი, უმთავრესად, ახალგაზრდების მიერ გამოიხატა და ეს იყო ღია დაპირისპირება საბჭოთა სამხედრო მანქანასთან, რაც იმ პერიოდში წარმოუდგენლად მიიჩნეოდა. უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში გამოსვლებმა გარკვეული შედეგი გამოიღო – ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა შეჩერდა, სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე მიმდინარე არმიის წვრთნის ინტენსივობა კი მნიშვნელოვნად შემცირდა. დამოუკიდებლობის გარიურაჟზე წარმატებულმა გარემოს დაცვითმა კამპანიამ ხელი შეუწყო ქართული ნაციონალიზმის რადიკალური გზით განვითარებას, მას ქუჩის აქციებისა

და დემონსტრაციების ფორმა მისცა (დავითაშვილი 2003: 393). 1988 წლის გაზაფხულიდან, მიტინგებსა და დემონსტრაციებზე უკვე გაისმა მოწოდებები საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიის მიერ მრავალთასიანი მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევამ, რომელსაც მსხვერპლი მოყვა, საქართველო სამჭოთა კავშირიდან პოლიტიკური ემანსიპაციის პროცესში მოწინავე ქვეყნად აქცია. საბოლოოდ გზა დამოუკიდებლობისკენ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტური პარტიის დამარცხებით და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დასრულდა.

მიუხედავად გარკვეული სამოქალაქო ტენდენციებისა, პოსტსაბჭოთა ეპოქის დასაწყისის ქართულმა ნაციონალიზმმა, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორის ზეგავლენით, მაინც ეთნიკური ფორმა შეიძინა. ამას ხელს უწყობდა ძლიერი ემოციური ფონი, სახელმწიფოებრივი ტრადიციის არარსებობა, პოლიტიკურ ლიდერთა გამოუცდელობა, მრავალრიცხოვანი მიტინგები და დემონსტრაციები, სადაც ხშირად ისმოდა (მათ შორის, პოლიტიკურ ლიდერთა მხრიდან) მრავალეთნიკური საქართველოს სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი მოწოდებები. რა თქმა უნდა, განმსაზღვრელ როლს თამაშობდა გარე ძალა, რუსეთის ფედერაცია, რომელიც საქართველოში მიმდინარე ირაციონალურ პროცესს უაღრესად რაციონალურად მართავდა გარედან და ხელს უწყობდა ქვეყნის დეზინტეგრაციას და სამოქალაქო დაპირისპირებას.

ედუარდ შევარდნაძე – დერადიკალიზაცია, ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმისკენ სვლის პროცესი

1992 წლის მარტში საქართველოში საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე დაპრუნდა და სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა. მწვავე სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში, რომლითაც შევარდნაძის მმართველობის საწყისი პერიოდი აღინიშნა (აფხაზეთის ომი, დაპირისპირება ზვიად გამსახურდისათვან), სახელმწიფოს მეთაურის უმთავრესი საზრუნავი მშვიდობის დამყარება და შერიგების პოლიტიკის განხორციელება გახდა. „სტაბილურობა“ შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული ნაციონალური პროექტის უმთავრესი მესიჯი იყო. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო დერადიკალიზაციის პროცესი და ქართული ნაციონალიზმი აქტიური იდეოლოგიური მოძრაობიდან პასიურ ფაზაში გადავიდა. ნაციონალისტურად განწყობილი რადიკალური გაერთიანებები თანდათან გაქრენებ პოლიტიკური სცენიდან. ამერიკელი მკვლევარი სტივენ ჯონსი ცდილობს ამ პროცესს ახსნა მოუქებნოს. მისი აზრით, დერადიკალიზაციის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი მიზეზი ქართული ნაციონალიზმის მარცხი გახდა. ქაოსით, არასტაბილურობით, ეკონომიკური კრიზისით, სოციალური დეზინტეგრაციით, კრიმინალთა თარეშით მოცულ ქვეყანაში შევარდნაძეს მსგავსი პოლიტიკის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობები შეექმნა.

ამ პერიოდიდან იწყება მრავალეთნიკური საზოგადოების არსებობისთვის ლეგალური და კონსტიტუციური საფუძვლების შექმნა. 1993 წლის მარტში მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც საქართველოს ყველა მცხოვრებისთვის მოქალაქეობის სპეციფიკური მოთხოვნების (როგორიცაა, მაგალითად, ქართული ენის ცოდნა) გარეშე მინიჭებას ითვალისწინებდა.¹ ამავე პერიოდში მიღებულ იქნა კანონი მოქალაქეთა საჯარო გაერთიანებების შესახებ; კანონი, დაწყებითი განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შესახებ, რაც უმცირესობათა უფლებების დაცვის კუთხით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო. მოქალაქეებს, რომლებიც ქართულ ენას არ ფლობდნენ, სასამართლოებში თარჯიმნის გამოყენების უფლება მიეცათ. თუმცა, ამას-თან ერთად, სეპარატიზმის გაღვივების თავიდან აცილების მიზნით, აიკრძალა რეგიონული პო-

¹ კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახების:

<http://mra.gov.ge/res/docs/2013110412031013274.pdf> (მისაწვდომია 06.07.2015)

ლიტიკური გაერთიანებების ჩამოყალიბება. ყველა პარტიას საერთო ნაციონალური ხასიათი უნდა ჰქონოდა. საქართველომ ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ეუთოს და გაეროს კონვენციების რატიფიცირება მოახდინა. ამასთან ერთად, რატიფიცირდა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია (Jones 2006: 260).

მოქალაქეობა, შერიგება, ტოლერანტობა სახელისუფლებო რიტორიკის ძირითადი მესიჯები გახდა. 1993 წელს შევარდნაძის ინიციატივით დაფუძნდა გაერთიანება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც შემდგომი ათწლეულის განმავლობაში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური პარტია გახდა. ახალი გაერთიანების მიერ დევლარირებული იყო სამოქალაქო ღირებულებები, რაც მისი სახელწოდებიდანაც ჩანდა. მისი ყველა წევრი, მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის მიკუთვნებულობისა, თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. ამ მიმართულებით ასევე უნდა აღვინიშნოთ 2002 წლის ოქტომბერში მიღებული შესწორება, რომლის მიხედვით საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა ამოიღეს.

დერადიკალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო სახელისუფლებო ელიტის ცვლილება. საბჭოთა წარსულმა და პრაგმატულმა მიდგომამ ედუარდ შევარდნაძეს დევლი, საბჭოთა ნომენკლატურის გარკვეული ფორმით „გაცოცხლებისა“ და ხელისუფლებაში დაპრუნებისკენ უბიძგა. საბჭოთა პარტიული ჩინოვნიკები ახალი ხელისუფლების პირობებში საკვანძო პოსტებზე მოგვევლინნენ და მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ნაციონალისტური რიტორიკის შენელებას. მათთან ერთად, წამყვან პოლიტიკურ პოზიციაზე აღმოჩნდა პროდასავლურად განწყობილი ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ჯგუფი (მომავალი „ვარდების რევოლუციონერები“), რომელიც 90-იანი წლების ბოლოს და 2000-იანის დასაწყისში შევარდნაძის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი იყო. საბოლოოდ, პოლიტიკოსთა ამ ორ ჯგუფს შორის შეუთანხმებლობამ ქვეყანაში რევოლუციური პროცესები განაპირობა.

როდესაც სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისკენ გადადგმულ ნაბიჯებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე. მიუხედავად რუსეთის ნეგატიური როლისა პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში განვითარებულ პროცესებში და სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებაში, პრობლემებისადმი რაციონალურმა დამოკიდებულებამ და ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ზრუნვამ ედუარდ შევარდნაძეს პრორუსული პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგა. 1993 წლის ბოლოს საქართველო შევიდა „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამებობრობაში“ (დსთ), 1994 წელს გაფორმდა ჩარჩოხელშეკრულება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ, ასევე რუსეთის რეკომენდაციით ინიშნებოდნენ უმაღლესი თანამდებობის პირები.

ხელისუფლების განმტკიცებისა და ზვიად გამსახურდისა საბოლოოდ დამარცხების შემდეგ (რაშიც რუსეთის ფედერაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა), შევარდნაძემ საგარეო პოლიტიკური კურსი თანდათან შეცვალა დასავლეთის სასარგებლოდ. 1996 წლიდან იწყება ნატოსთან კონტაქტების გაღრმავება ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შემუშავებით. საქართველო ჩაერთო ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ქართულმა საჯარისო შენაერთებმა 1999-2008 წლებში მონაწილეობა მიიღეს კოსოვოს მისიაში. საერთაშორისო აღიარების შემდეგ, საქართველო ხდება ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი და მაღლევე უერთდება პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. 1999 წელს ქვეყანა ევროპის საბჭოში მიიღეს, სადაც პარლამენტის იმუამინდელმა თავმჯდომარე ზურაბ უვანიამ წარმოთქვა ცნობილი სიტყვები: – „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი“ (კერძესლიდე 2012). 2000-იანი წლების დასაწყისიდან საქართველო აშშ-თან ერთად წვრთნისა და აღჭურვის ერთობლივი პროგრამის განხორციელებაში ჩაერთო.

პროდასავლურმა კურსმა, ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესმა დერადიკალიზაციას და სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას შეუწყო ხელი. ევროატლანტიკუ-

ლის ტაძარი კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილია და ამ მონუმენტის მიღმა მრავალსაუკუნოვანი ისტორია დგას, რომელიც ცოცხალია ერის კოლექტიურ მეხსიერებაში. რომანში მოზრდილი პასა-ჟები ეთმობა ტაძრის მშენებლობის პროცესს, სვეტიცხოვლის სემანტიკიდან გამომდინარე, მას მკითხველისათვის მომავალი პერსპექტივის, აღმშენებლობის, „ოქროს ხანის“ საქართველოს ასო-ციაცია უნდა შეექმნა. ერის კოლექტიურ მეხსიერებაში სვეტიცხოვლის ხატის აქტუალიზებას დიქტატურისა და კოლონიური ჩაგვრის დროს, ჩაგრული ერისათვის მომავლის იმედი უნდა მიეცა.

„დიდოსტატის მარჯვენას“ ანალიზის დროს ლიტერატურულ კრიტიკაში გამოყოფდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პერსონაჟთა დახასიათება, ფიქციონალური პერსონაჟები, ისტორიული გმირები, ასევე საბჭოთა კრიტიკისათვის საინტერესო თემა: ქალთა სახეები (ქალთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“ და არაერთ ნაწარმოებში). „დიდოსტატის მარჯვენაში“ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ხდებოდა შორენა კოლონკელიძის სახე, რომელიც ქალის იდეალადაც ცხადდებოდა: „გარეგანი მშვენიერებით და სულიერი რაინდობით დაჯილდობულ ქალთა მხატვრული სახეებით მდიდარ ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე ლიტერატურაში ეს სახე იშვიათი ადა-მიანური მომხიბვლელობით, კდემამოსილებით, ლირიულობით გამოირჩევა (ჟლენტი 1967: 71). სასკოლო პროგრამებშიც აქტუალური იყო შორენას სახის დაკავშირება ქართული კლასიკური მწერლობის პერსონაჟ ქალებთან. შორენას თვისებები მკითხველს მართლაც უქმნის მსგავს ასო-ციაციებს: „შეხედა შორენას, შეუძლებელი იყო რაიმე მზაკვრობა ხლებოდა ამ მშვენიერ, შეურ-ყვნელ თვალებს. ეს იყო, მის მზერაში გიორგიმ დაიჭირა ის ველური დარცხვენილობა, რომელიც ირმის ნუკრების გამოხედვაში შენიშნა წელან“ (გამსახურდია 1976: 81). „ჩვეულებრივი აზნაურის ასული არ გეგონოს შორენა, ვაჟკაცი, მონადირე ქალია იგი“ (გამსახურდია 1976: 151). შორენა კო-ლონკელიძის სიმშვენიერეს უპირისპირდება ვარდისახარის ვულგარული სილამაზე, ცნობილი დაპირისპირება: თინათინი/ნესტან-დარეჯანი ვს. ფატმანი: „გაიფიქრა არსაკიძემ და წარმოუდგა მარჩივი ჩვენება: ვარდისახარი ამოუდგა შორენას გვერდით. კისკისა, ტიკტიკა, ფეროვანი, ჭარ-ბჟენებიანი, სიცოცხლეზე შეყვარებული... მხოლოდ ვნებისათვის, მხოლოდ სარეცელისათვის გა-ჩენილა ეს აშარი დიაცი...“

როცა შორენა და ვარდისახარი პირისპირ წარსდგნენ არსაკიძის წარმოდგენაში, ოვსთა ხარ-ჭაყოფილი კოლონკელიძის ქალმა დაჩრდილა ანაზდადა...“

ფაქტიზი იყო შორენა, როგორც ქერუბიმის ფრთენი და სევდიანი, როგორც ყინცვისის მჭმუნ-ვარე ანგელოსი.

ყელისმიერი ხმა ჰქონდა, ისეთი წერიალა, როგორც ვერცხლის ეჟვნები, ხევისბერების დრო-შის ბუნზე შებმულნი.

ჰარილესავით რბილი და ტფილი იყო მისი ბუნება სრულად“ (გამსახურდია 1976: 183-184). შორენას იდეალიზებული სახე ახლოსაა, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებთან, განსაკუთრებით თი-ნათინის სილამაზესა და სიბრძნესთან. უახლოვდება აგრეთვე თამარ მეფის იდეალიზებულ სახეს, რომელიც თამარ მეფეზე შექმნილი პოეზიიდან და ისტორიული წყაროებიდან იღებს სათავეს. აგ-რეთვე ბევრი პარალელის გავლება შეიძლება შალვა დადიანის „უბედურ რუსში“ შექმნილ თამა-რის სახესთან.

ისტორიულ რომანში საინტერესო მიმართებაა ისტორისაა და ფიქციას შორის. მასში დაცუ-ლია ისტორიული უანრის კონვენციები, თუმცა ისტორიული ფაქტების გადანაცვლების ტენდენ-ცია, მთავარი პერიპეტიიების ფიქციონალობა მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ მწერალს ნაწარმოე-ბით თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს კითხვებზე სურდა პასუხების გაცემა. წარსულის რეპ-რეზენტაციით ხდებოდა ტექსტის საზრისის კოდირება. ტექსტის შესახებ არსებული რეცეფციე-ბის ცვლილება მიგვანიშნებს პოსტსაბჭოთა ქართულ საზოგადოებაში არსებული ღირებულებე-ბის გადაფასების პროცესზე. თუ საბჭოთა კრიტიკისათვის ავტორის მიერ დასმული საკითხი – ხელოვანის ბედისა ტირანულ სახელმწიფოში – შუა საუკუნეების ტირანიაზე მეტყველებდა, დღეს ვითარება შეიცვალა: ეს პარადიგმა უკვე საბჭოთა რეპრესიების ალეგორია. რომანში განსაკუთ-რებული მნიშვნელობა ენიჭება სვეტიცხოვლის აგების ისტორიას. საბჭოთა კრიტიკის მიერ მრო-მის აპოლოგიის თეზაში ჩადებული შინაარსის საპირისპიროდ, სვეტიცხოველი უნდა გამხდარიყო ძლიერების, შინაგან ძალთა მობილიზაციის, ეროვნული აღმშენებლობისა და შემოქმედებითი ენ-

ერგიის სიმბოლო. ამდენად, მწერლის დროინდელ ეპოქაში მას ბოლშევიკური ტირანიით დათ-რგუნული მკითხველისათვის უნდა მიეცა მომავლის იმედი, რაც არსებითად ჯდება ე. სმითის „ოქროს ხანის“ კონცეფციაში. ისტორიული ნაწარმოები პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტიც ხდებოდა: ის ემსახურებოდა ანტიკოლონიური იდენტობის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბენაშვილი დ. კონსტანტინე გამსახურდია. თბილისი, 1962
გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი. თბილისი, 1960
გამსახურდია კ. თხზულებათა ათტომეული. თბილისი, 1976
გამსახურდია კ. თხზულებათა ათტომეული. თბილისი, 1985
კანკავა გ. ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები. თბილისი, 1969
კიკაჩეიშვილი თ. კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული პროზის პოეტიკა. თბილისი, 1982
მჭედლიძე ა. კონსტანტინე გამსახურდიას დიდოსტატის სწავლება სკოლაში. თბილისი, 1974
ულენტი ბ. კონსტანტინე გამსახურდია. თბილისი, 1967
სიგუა ს. კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა. თბილისი, 1989
სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი. თბილისი, 2013
ჭანია ლ. კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრნამსი. თბილისი, 1997
Smith A. The Golden Age and National Renewal. Myth and Nationalhood, 2013

TAMAR CHOKORAI

FICTION AND REALITY IN THE COLLECTIVE MEMORY, ACCORDING TO “THE RIGHT HAND OF GRAND MASTER” BY KONSTANTINE GAMSAKHURDIA¹

Summary

In the history of Georgian literature Konstantine Gamsakhurdia's historical prose has a crucial significance for the formation of historical novel as a genre. Besides, his novels left a special trace in the collective memory of the Georgian society.

The general interest and love of the readers was also supplemented by the fact that the novel “The Right Hand of Grand Master”, our research object, was included in the textbooks and was taught at school. Moreover, a film was shot with the same title. Besides the text of the novel its perception is also important, which, due to the influence of the Soviet literary criticism, was so closely connected to the text that it became the sole possible interpretation of the book. In the post-Soviet period the process of reappraisal of values was reflected on the comprehension of “The Right Hand of Grand Master” as well, most critics and researchers connected this historical novel with Bolshevik tyranny. However, in the collective memory of the modern Georgian society this specific fact is not stressed or promoted. Using the historical frame Konstantine Gamsakhurdia could transfer his epoch's acute problems to the past, whose decoding would be much less painful, than openly criticizing the existing regime.

K. Gamsakhurdia even in the book title underlined the issue of the artist's punishment. “The Right Hand of Grand Master” is a story about an artist whose right arm was cut off. As it is known, the plot of the book is based on a famous legend. On the basis of historical sources the writer restored the epoch of King George I with maximal accuracy; however, the main conflict of the novel – confrontation between the king and the architect, is pure fantasy. The period during which the novel was created – 1938-1939 – is of particular interest as well. This period is famous for the most horrible repressions held in the Soviet Union. The year of 1937 represents one of the most tragic years in the collective memory of the modern Georgian society. In the legends, the dimly indicated plot (which is not con-

¹The article was written in the framework of “The Collective Memory Formation Process in The Georgian Historical Prose (the 20s-60s of XX century)” under the support of the Shota Rustaveli National Scientific Foundation (SRNSF).

firmed in historical records) upon which the invented conflict is based, as well as the novel's creation time unambiguously point to the the 1937 repressions and, in general, to the fate of an artist in the Soviet epoch.

While discussing "The Right Hand of Grand Master" it is impossible for the researcher not to pay attention to its prologue and epilogue. There are several important implicit codes which should have attracted the Soviet critics. In the prologue we read the following: "During the whole century the temple was rained down, even nowadays there is not a single soul who would remember to repair it, save the **Soviet Government**, who roofed it this year, many **thanks to them**" (Gamsakhurdia 1976:13). These words of Ekvtime's are the echo of the Soviet conjuncture. In the epilogue of the novel, wherein the historical areas of "The Right Hand of Grand Master" are discussed, the writer offers us two very important and extremely well-known codes for interpreting: "In our time, in the century of the apology of the work, praise the grand master's labour and devotion" (Gamsakhurdia 1976:343). Precisely this thesis disguised and made ambiguous the writer's following attitude: "A reader should pay close attention to the novel title. In the center of the events is a story about the cutting the arm off, the doomed fate of a grand master in the tyrannical State" (Gamsakhurdia 1976:343). According to the above-mentioned codes the author himself established the foundation for the idolized text, soviet interpretation by which he saved the novel.

During the analysis of "The Right Hand of Grand Master" Soviet critics, relying on these very theses, focused on several topics, such as: work apology, Medieval tyranny, the main characters' description and the reference to historical records. After the Soviet dictatorship it became possible to discuss the political context of the novel and, accordingly, the alternation of the its perception. "The Right Hand of Grand Master" was acknowledged as: "The allegorical transfer of the tragedy of 1937 year into the distant past" (Sigua 2003:255). Arsakidze became the symbol of the people repressed in 1937 (Chania 1997:125-133). The novel was written in 1939. Its creation date and political context are very significant. As we see, the perception of the Soviet critics takes source from the epilogue. The writer misled the Soviet critics and by it gave the text a chance of existence. The author also gave the readers a circle of implicit codes and an opportunity to decode them and, thus, transfer his message.

Alongside unmasking the Bolshevik tyranny, the formation of the anticolonial identity was no less important. In the novel especial attention is given to the icon of the enemy of Byzantium practicing the same religion as us. We consider that for Georgian readers this very allegory is quite comprehensible. The year when the novel was written coincides with Russia's obvious and bilateral aggressive epoch: on one hand, Georgia becomes part of the Soviet Union and tyranny and, on the other, De Facto colonization of Georgia by Russia. During horrible repressions of the 1930s, by depicting strong Georgia and creating a novel of anti-Byzantium sentiments the writer confronted the Georgians' pessimistic attitude and gave hope for the better future, which basically adjusts to the conception of the "Golden Age".

In the process of formation of anticolonial identity the history of building of Svetitskhoveli Cathedral is also very important. The main conflict of "The Right Hand of Grand Master" – the punishment of the Master – is linked to this very church. Svetitskhoveli occupies a central position in the novel, all the episodes and intrigues described in the book occur around it. Svetitskhoveli is a significant feature in the collective memory of the Georgian nation, and is supported by the sacral fact that Jesus' robe is buried under it. For centuries the church represented the country's religious center: the official residence of the Catholicos-Patriarchs of all Georgia was situated there, they were consecrated there, and the wedding ceremonies of the Kings and Queens, the christening of princes, kings, queens, and the funerals of the Catholicos-Patriarchs were also held there. Numerous poems were devoted to Svetitskhoveli Cathedral, but "The Right Hand of Grand Master" gave the existing stories and legends wider recognition and greater significance. In modern Georgia Svetitskhoveli Cathedral is still a very important place. In the novel there are quite long passages describing the process of construction of the church. According to its semantics, Svetitskhoveli should have created to the reader the association of future prospect, prosperity and Golden Age for Georgia. In the conditions of dictatorship and colonial oppression the actualization of the icon of Svetitskhoveli in the collective memory should have given the oppressed nation a hope for the better future.

In the historical novel there is a very interesting relation between history and fiction.

In it the conventions of the historical genre are observed, although the tendency to reorder historical facts and the fictional character of the main peripetia point to the fact that by creating the novel the writer desired to answer to all the important questions of contemporaneity. By representing the past the opinions represented in the text became codified. The changes that took place in the interpretation of the text indicate to the process of reappraisal of values in the post-Soviet Georgian society.

ანა ხვედელიანი

საქართველოსა და საერთაშორისო აქტორების სახეობი 1920-1921 წლების პარიკატურების მიხედვით

XIX საუკუნეში დაწყებული ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირების ერთგვარი შემაჯამებელი ეტაპი 1918 წელს ქვეყნის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადებაა. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ერის კონსტრუირების იდეა კვლავ აქტუალურია. XIX საუკუნეში ქვეყნის კულტურული ფაქტორების განსაზღვრამ მოვინანებით დღის წესრიგში დაყენა მისი ტერიტორიული დამოუკიდებლობის ფორმირებისა და კონსოლიდაციის საკითხი, რაც ერთგვარად ერის კულტურულიდან პოლიტიკურ პროექტზე გადასვლაა. ეს პერიოდი აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ამ დროს ყალიბდება ქართული სახელმწიფოებრიობა და ნაციონალური იდენტობა. ქართული იდენტობის ფორმირების ეს პროცესი გულისხმობს ჩვერი და სხვების სახეების ფორმირებასაც. ამავე პერიოდში ისაზღვრება საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციებიც. საგარეო პოლიტიკურ სარპილზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიზანია დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფა, საქართველოს შიგნით კი მის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი მთელი რიგი სირთულეებით გამოირჩევა, ამ დროს აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურაც. თბილისში იხსნება უმაღლესი სასწავლებლები – უნივერსიტეტი და კონსერვატორია. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მნიშვნელოვანი მოვლენები – ავტოკეფალიის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება, ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, ბათუმის საკითხი, საქართველოსა და ინგლისის ურთიერთობა და ბოლოს, რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციის წინაპერიოდი, – ეს ის თემებია, რომლებსაც „ეშმაკის მათრახი“ აქტიურად და თანმიმდევრულად აშუქებს კარიკატურაში.

სტატია ეხება საქართველოსა და საერთაშორისო აქტორების სახეების ჩვენებას 1920-21 წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სატირის „ეშმაკის მათრახის“ კარიკატურების მიხედვით. არჩეული საკითხის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი მოტივით: გარდა იმისა, რომ კარიკატურა ისტორიული მოვლენების ამსახველ ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ მოიაზრება, დროთა მანძილზე მას ასევე დაევალა ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა სტერეოტიპების, სახეების დადგენა კარიკატურაში. ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, გამოვკვეთოთ, როგორი იყო მაშინდელი პოპულარული მედიასაშუალებით დანახული საქართველოს ისტორიული მოვლენები და მათი მონაწილე მთავარი აქტორები; მეორე მხრივ, შევეცადოთ მოვიძიოთ და დავადგინოთ ის სტერეოტიპები, რომლებიც აყალიბებენ ჩვენ და სხვების სახეებს ამ სახის პოპულარულ მედიაში.

კარიკატურას, როგორც პოლიტიკურ-სატირული გრაფიკების, ნახატებისა და ჩანახატების ჟანრს, თავისი განვითარების ისტორია აქვს: ის იტალიური სიტყვა caricare-დან მოდის, რაც ნიშნავს დატვირთვას, დაგატვირთვას, გადაჭარბებას, მძაფრად გამოხატვას. კარიკატურის, როგორც საკვლევი ობიექტის, კვლევით ერთდროულად დაკავებულია ისეთი დარგები, როგორებიცაა: ჟურნალისტიკა, მედიის კვლევები, კულტურის კვლევები, ხელოვნება, ფილოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები და ა.შ. ამ ინტერდისციპლინური თვისების გამო მისი ერთიანი განსაზღვრების პოვნა და ერთ ჩარჩოში მოქცევა რთულია. კარიკატურის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მკვეთრია, გადაჭარბებული, ხშირად საკამათო. ძირითადად ის არ ზრუნავს სინამდვილის ობიექტურ ან ნეიტრალურ შეფასებებზე. კარიკატურა არ ითვლება მხატვრის მხოლოდ

თავისუფალი ფანტაზიის ნაყოფად. ის ყოველთვის დაკავშირებულია რეალობასთან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რამდენად ეფექტურად შეეხო ესათუის კარიკატურა პრობლემასა და არსებულ ვითარებას.

კარიკატურის, როგორც წყაროს, სისტემური ანალიზის დროს ყურადღება ექცევა შემდეგ ფაქტორებსა და მეთოდს: 1. ვინ არის მხატვარი; კარიკატურის სათაური; მისი შექმნისა და გამოშვების პერიოდი, ადგილი. 2. კარიკატურის თემის გაშუქება. რომელ ისტორიულ მოვლენასა თუ ფაქტს ეხება კონკრეტული კარიკატურა. რა ისტორიული საფუძვლების ცოდნაა საჭირო კარიკატურის სწორი გააზრებისათვის. 3. რა სტერეოტიპებს, სიმბოლოებსა და მეტაფორებს ვხედავთ ნახატში.

კარიკატურის კვლევისას, ცალკე აღნიშვნის ღირსია კარიკატურის ტექსტი. ჯონ სთორის წიგნის „კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა“ ერთ-ერთ ქვეთავში „ურნალ-გაზეთები“, ვკითხულობთ, რომ ვიზუალურ სახეებს ურნალ-გაზეთებში მუდამ თან ახლავს ამა თუ იმ ტიპის ლინგვისტური ტექსტი. აქვე ავტორს მოჰყავს რ. ბარტის მოსაზრება, რომ: „ტექსტი ავსებს იერ-სახეს, ტვირთავს მას კულტურით, მორალითა და წარმოსახვით“ (სთორი 2007: 133); ანუ, ჩვენს შემთხვევაშიც კარიკატურის მნიშვნელობა მხოლოდ ვიზუალური მხარით არ განისაზღვრება. თანმხლები ტექსტი მის კულტურულ და წარმოსახვით მნიშვნელობას კიდევ უფრო ამძაფრებს.

კარიკატურა სტერეოტიპებით გაჯერებული ვიზუალური ტექსტია. მასში წარმოდგენილი სურათ-ხატების გააზრებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი მხატვრული მხარე, არამედ როგორია ზოგადად კარიკატურისა და მასში წარმოდგენილი სტერეოტიპის ურთიერთმიმართება. კარიკატურა ამა თუ იმ შტრიხის გადაჭარება-გამძაფრებით, შემცირებით, მეტაფორებითა და სიმბოლოებით მუშაობს. ამ პროცესს უკავშირდება კარიკატურაში გარკვეული სახის ტიპოლოგიების, სტერეოტიპების შექმნის პროცესი. მკვლევარი ანგელიკა პლუმი თავის წიგნში (Plum 1998) ტერმინებს ტიპოლოგია და სტერეოტიპი სინონიმებად მოიხსენიებს და, პირველ რიგში, განსაზღვრავს მათ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს: ტიპოლოგიის მეთოდი ქმნის სტერეოტიპს, სახეს კარიკატურაში. სტერეოტიპი ყალიბდება მაშინ, როდესაც განსაზღვრული ტიპის ვიზუალიზაცია არა ერთჯერადი მოვლენაა, არამედ ხასიათდება რეგულარული განმეორებით კონკრეტული ჯგუფებისადმი მიკუთვნებულობის კუთხით. სტერეოტიპის მარკირება ასევე სიმბოლოებით ან კონკრეტული ნიშან-თვისებებითაც ხორციელდება. სტერეოტიპები ერთგვარი „გონებრივი უჯრებია“, რომლებიც განისაზღვრებიან, როგორც მყარი წარმოდგენები და განმეორებები ამა თუ - იმ ქცევებისა. ტერმინი „სტერეოტიპი“ თავისი არსით ახლოს დგას შემდეგ ცნებებთან: შეხედულება, სახე, ხატი, ცრულწმენა, პოზიცია, თვალსაზრისი, მტრის ხატი. შესაბამისად, სტერეოტიპები ის წარმოდგენებია, რომლებსაც წინ უსწრებს რეალობის არა საკუთარი გამოცდილება ან შეხედულება, არამედ სოციალური და კულტურული სურათ-ხატები. ფსიქოლოგიური და კულტურული ფაქტორებით დეტერმინირებული სტერეოტიპები შესაძლებლობას გვაძლევენ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მარტივი ხედვა რაიმე საგანზე, რომელსაც არანაირი პრეტენზია არა აქვს სიზუსტესა და სრულყოფილებაზე, მაგრამ ის საგნებს, მოვლენებს, ადამიანთა ქცევებს მყარ ადგილს მიუჩენს ჩვენს წარმოსახვაში. როგორც წესი, ამ სახის სტერეოტიპებზე ინდივიდი ან საზოგადოება უარს ვერ ამბობს. ის ასევე პოლიტიკურად მართვადია და მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება სრულიად შესაძლებელია. შესაბამისად, სტერეოტიპებსა და კარიკატურას შორის ერთმნიშვნელოვნად არსებობს კორელაცია. კარიკატურა, როგორც კომპლექსური ტექსტის ვიზუალური წარმოდგენა, მანიფესტირდება განზოგადებებით, სტერეოტიპებით, არქეტიპებით, სახეებით, პროექციებით. კარიკატურისტის მეთოდიც ისაა, კონცენტრირება მოახდინოს ამა თუ იმ სტერეოტიპზე და მისი საშუალებით შემოგვთავაზოს პროდუქტი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ მასალად გამოვიყენეთ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სატირის მნიშვნელოვან გამოცემაში „ეშმაკის მათრახი“ გამოქვეყნებული 1920-1921 წლების რამდენიმე კარიკატურა.

„ეშმაკის მათრახი“ პირველად 1907 წელს გამოვიდა. 1908 წელს კი თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულების საფუძველზე დაიხურა. 1915 წელს კვლავ განახლდა, გამოდიოდა 1915-1917 და 1919-1921 წლებში (საყურადღებოა, რომ გამოცემამ არსებობა 1921 წლის 14 თებერვალს შეწყვიტა). უურნალის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მცირედი მასალა მოიპოვება. თუმცა, გურამ შარაძე „ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორიაში“ წერს: „ქართულ სატირას დიდი ხნის ისტორია აქვს... უურნალი „ეშმაკის მათრახი“ გადაიქცა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სატირის უშესანიშნავეს ორგანოდ. დიდი და პატარა, მტერი და მოყვარე, ყველა მოუთმენლად მოელოდა „ეშმაკის მათრახის“ მორიგი ნომრის გამოსვლას. მისი მკითხველი იყო როგორც ინტელიგენცია, ისე ქალაქის მუშა და სოფლის გლეხი. „ეშმაკის მათრახის“ შეხვდებოდით საქართველოს ყველა მივარდნილ კუთხეებში“ (შარაძე 2005: 237). უურნალში, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, თანამშრომლობდა მხატვარი ოსკარ შმერლინგი. მოგვიანებით, მხატვრები: შ. ქიქოძე, მ. ჭავარელი, ვინმე ა. ზ., ს. ნადარეებიშვილი და სხვები.

ზოგადად, როდესაც ქართული კარიკატურის შესახებ ვსაუბრობთ, ცალკე უნდა აღინიშნოს ოსკარ შმერლინგი. იგი თამამად შეიძლება ჩავთვალოთ ქართული კარიკატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად. შმერლინგი ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას აქვეყნებდა თავის ნახატებსა და კარიკატურებს გერმანულსა და რუსულ გაზეთებში. საქართველოში მოღვაწეობას გაზეთ „ცნობის ფურცელის“ სურათებიან დამატებაში იწყებს, შემდგომ კი თანამშრომლობას აგრძელებს „ეშმაკის მათრახში“. შმერლინგის თემატიკა მრავალფეროვანია და ქალაქური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. უურნალის პირველ გამოცემებში ძირითადი აქცენტი მაინც ისეთ თემატიკაზე გაკეთებული, რომელიც თბილისისა და სხვა ქალაქების ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა--ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს აღნირს. 1917 წლიდან, კონკრეტულად კი რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, „ეშმაკის მათრახში“ თემატიკა იცვლება და ის პოლიტიკური ხასიათის მატარებელი ხდება. უურნალის მხატვრული მხარე ქართული ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა. თუმცა, ნახატებში ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი აისახება და ამ პერიოდის უშუალო დამკვირვებლების მიერ ცნობილი ისტორიული ფაქტები ცოცხლდება.

გარდა ისტორიული კონტექსტებისა, ჩვენ მიერ განხილულ კარიკატურებში მრავლად ვხედავთ სტერეოტიპებსა და ტიპოლოგიებს, გავერებულს სიმბოლოებით, მეტაფორებით, ალეგორიებით, რომლებიც უფრო თვალნათელსა და ხატოვანს ხდიან მაშინდელ ისტორიულ მოვლენებს. სტატიაში განხილული კარიკატურები დაყოფილია შემდეგი პრინციპების მიხედვით: კარიკატურა, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს თემატიკას აშუქებს და კარიკატურა, რომელიც საქართველოს გასაბჭოების წინა პერიოდს ეძღვნება.

დამოუკიდებელი საქართველოს აღნერას ვიწყებთ 1920 წელს გამოქვეყნებული კარიკატურებით, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ორიოდე წელს ითვლის. ალსანიშნია, რომ უურნალი „ეშმაკის მათრახი“ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წელს, 1918 წელს, არ გამოდიოდა. შესაბამისად, უურნალში არ არსებობს დამოუკიდებლობის აქტის მიღების უშუალო „მოწმე“ მასალა. დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე პროცესების დამკვირვებელი ის 1919 წლიდან ხდება.

ყველა ჩვენ მიერ მოხმობილ ნახატში დამოუკიდებელი საქართველო პერსონიფიცირებულია ქალის სახით, თავად დამოუკიდებლობა კი – პატარა ბავშვის, ბიჭის სახით. ქვეყნების, ნაციების პერსონიფიცირება კარიკატურაში საკმაოდ გავრცელებული მეთოდია. მაგალითად, ბევრ კარიკატურაში, რევოლუციის შემდგომი საფრანგეთი პერსონიფიცირებულია ფრანგული მარიანათი, რაც თავისუფლების სიმბოლოა.¹ ინგლისი პერსონიფიცირებულია ჯონ ბულლით (ინგლისელი ბურჟუის მეტსახელი, XVIII საუკუნის ინგლისელი მწერლის, არბიტროგის პოლიტიკური პამფლეტის გმირის სახელი). მის სახეს, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები, როგორც მოწინააღ-

¹ მარიანა (ფრანგ. Marianne) – საფრანგეთის ეროვნული სიმბოლო. გამოსახულია ქალის სახით და გამოხატვას საფრანგეთის ეროვნულ დევიზს: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“.

მდეგ, ინგლისის სიმბოლოდ იყენებდნენ. „ეშმაკის მათრახშიც“, მაგალითად, რუსეთის რევოლუცია, რევოლუციის შემდგომი რუსეთი, ასევე ანტანტა, ქალის სახით არის პერსონიფიცირებული.

საქართველოს შემთხვევაშიც ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა მანდილოსანს, ქალს. რატომ მაინცდამაინც ქალი? გარდა საერთაშორისო პრაქტიკისა, რა კულტურულ და ისტორიულ კონტექსტებთან შეიძლება გვქონდეს აქ საქმე, რამაც საქართველოს ქალის სახით პერსონიფიცირება, მისი ამ სტერეოტიპად ჩამოყალიბება განაპირობა? აქ ვანყდებით კარიკატურაში სტერეოტიპის შექმნის იმ გზას, რასაც კულტურული და ისტორიული ფაქტორებით განსაზღვრული სტერეოტიპი ეწოდება. თუ გადავხედავთ ისტორიულ და კულტურულ ფაქტორებს, ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ვგულიხმობთ მედეას, ვხედავთ ქართველი ქალის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და როლს ქართული კულტურისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. საქართველოს გაქრისტიანება დაკავშირებულია ქალთან – წმინდა ნინო; საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული პერიოდი მეფე-ქალის სახელს უკავშირდება და ა.შ. ქართველი ქალის, დედის სახე ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც მრავლად მოიპოვება: ერთ-ერთი მათგანია ადგილის დედის ფენომენი. ხალხში მყარადა გამჯდარი რწმენა იმისა, რომ თითოეულ ადგილს, მთას, გორას ჰყავს თავისი დედა. სიტყვები: დედამიწა, დედაენა, გუთნისდედა, დედაბოძი, დედაარსი, – ყველა მათგანი დაკავშირებულია ქალის განსაკუთრებული მნიშვნელობის გააზრებასთან. გარდა ამისა, ქალი, ბუნების კანონიდან გამომდინარე, ითვლება ახალი სიცოცხლის დაბადების, ახლის ქმნადობის სიმბოლოდ. ქართველი ქალის სახე, მშობელი ახალი საქართველოსი, ქვეყნის ახალი სიცოცხლის ანუ დამოუკიდებლობის დამბადებლის სიმბოლოდ უნდა განვიხილოთ. შესაბამისად, კარიკატურებში ქვეყნის ქალის სახით პერსონიფიცირება, სწორედ ამ კულტურული და ფსიქოსოციალური სურათ-ხატებით უნდა იყოს ნაკარნახევი.

I. დამოუკიდებელი საქართველო – 1920 წელი

კარიკატურა 1: სიფრთხილეს თავი არ სტკივა¹



¹ „ეშმაკის მათრახი“. 1920, N10, გვ. 1.

კარიკატურა 2: ორი ნელინადი¹



კარიკატურა 3.: დენიკინი და საქართველო²



სამივე ნახატი შესრულებულია 1920 წელს ა. ზ-ს მიერ.

¹ „ეშმაკის მათრახი“. 1920, N 27, გვ. 1.

² „ეშმაკის მათრახი“. 1920, N13, გვ. 16.

პირველ ნახატში, „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ საქართველო თავის დამოუკიდებლობას ანუ შვილს მიმართავს „ჩუ, შვილო, ჩუ! აი, გესმის, შუა ტყეში დადის“. ნახატზე ვხედავთ დედას, რომელსაც ხელში პატარა ბავშვი ჰყავს აყვანილი და თავს ტყეში აფარებს. შორიახლოს ჩანს თეთრი, მოხეტიალე დათვი. იგი თითქოს გაფაციცებით და ჩასაფრებული ათვალიერებს გარემოს. სიმბოლურად ქალი არის საქართველო, ბავშვი – დამოუკიდებლობა და თეთრი დათვი – საფრთხე, რომელსაც ასოციაციურად რუსეთისკენ მივყავართ. რომელიმე ქვეყნის, ნაციის ცხოველის სახით წარმოდგენა კარიკატურაში ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია. საქვეყნოდ აღიარებულია, რომ თეთრი დათვი რუსეთია.

მეორე ნახატში „ორი წელინადი“ კვლავ ვხედავთ საქართველოსა და რუსეთს. ორივე მათგანი ქალის სახით არის წარმოდგენილი. რუსეთი საყვედურობს მეზობელს მასთან დაშორების გამო, მაგრამ საქართველოს პასუხი ერთმნიშვნელოვანია. მან მოიშორა ბორკილი, რაც გულისხმობს შემდეგს: ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ქართველი ხალხის არჩევანია.

მესამე ნახატში „დენიკინი და საქართველო“ წარმოდგენილია გასაუბრება დენიკინსა და საქართველოს შორის. დენიკინი ვეღარ ცნობს ახალგაზრდა, ლამაზ ქალბატონს, იგი შეცვლილია და ვარაუდს გამოთქვამს, რომ ის ნამდვილად საქართველო უნდა იყოს: „მშვენიერო მეზობელო, მოხუცი კაცი ვარ, ნუ გამამტყუნებ, თუ ამდენ ხანს ვერ გიცანი. ახლა კი გცნობ, შენ სწორედ საქართველო ხარ... საქართველო: თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით, სრულიად იერია უცნობი...“

სამივე ნახატში საქართველო წარმოდგენილია ახალგაზრდა, სანდომიანი ქალის სახით, რომელიც არ გამოირჩევა მდიდრული ჩაცმულობით, შემოსილია სადად, ქართველი გლეხი ქალის სამოსით. სახეზე იკითხება მისი გაცნობიერებული როლი პირმშოს – დამოუკიდებლობის წინაშე, რომ უნდა დაიცვას იგი და აარიდოს საფრთხე. ამ დროს კი რუსი ქალის სახეზე საპირისპირო განცდებს ვკითხულობთ. მხატვარი ცდილობს სპეციალურად წარმოგვიდგინოს რუსი გლეხი ქალი ულამაზო ფორმით და ამით გამოხატოს ქართველის, როგორც დადებითი მეს უპირატესობა ნეგატიური მოწინააღმდეგის – რუსეთის მიმართ. მოწინააღმდეგის სახის დამახინჯება ან სასაცილო შტრიხებით აღჭურვა, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კარიკატურისტული მეთოდია. მიზანია მოწინააღმდეგის დამცირება და ამის ხარჯზე მტრის სტერეოტიპის შექმნა; ამ ხერხით საკუთარი ემოციურ-ფსიქოლოგიური მუხტის ხაზგასმა.

შეღახულ და ნირნამდარ მდგომარეობაში ვხედავთ მაშინდელი რუსეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტორს – დენიკინსაც. ისტორიულ კონტექსტში ბოლშევიკურ რეჟიმთან დაპირისპირებული მოხალისეთა არმია, დენიკინის მეთაურობით, კვლავ ცდილობს ერთიანი და განუყოფელი რუსეთის აღდგენას. მისი ყველანაირი მცდელობა, განამტკიცოს თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, საბოლოო ჯამში, ბოლშევიკური ჯარების მიერ უგულებელყოფილი აღმოჩნდება. დენიკინი უფრო ლირიკული გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. ამ ნახატში თითქოს ეს ლირიკული გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ მნიშვნელოვანი უფრო მარტივი გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში „ეშმაკის მათრახი“ არაერთ კარიკატურას უთმობს საქართველოსა და ინგლისის ურთიერთობების საკითხსაც. თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილია ერთ-ერთი მათგანი: ნახატი საიუბილეო საჩუქარი,¹ რომელიც 1920 წლის 26 მაისის ნომერში გამოიცა, დამოუკიდებლობიდან ორი წლისთავზე.

¹ „ეშმაკის მათრახი“. 1920, N27, გვ. 12.



ნახატის ავტორის გვარი არ იკითხება. ნახატზე გამოსახულია პატარა ბიჭი, რომელიც სეირნობს ტყეში და მას ჩასაფრებული უთვალთვალებს ინგლისელი ჯარისკაცი ხაფანგით ხელში. ნახატის ქვეშ ვკითხულობთ: ინგლისი: დღეს მხოლოდ ორი ნელინადი შეუსრულდა და ნახე როგორ აიყარა ტანი! თუ ამრიგად გაიზარდა, ხელიდან გამისხლტდება და ვერაფერს გამოვრჩები. მოდი, ერთი ონი ვუყო! ამ გზას ხომ ვერ გასცდება... აი, ამ ბუჩქებში დავუდებ ხაფანგს, ნამოჰკრავს ფეხს და მორჩა! მშვიდობით დამოუკიდებელო საქართველო! (ხაფანგს დაუდებს და უთვალთვალებს).

ნახატის ტექსტით მკითხველის თვალწინ იშლება ისტორიული ნარატივი: კარგად ჩანს ინგლისის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი ცნობდა მის დამოუკიდებლობას, ინგლისის გევმაში მაინც არ შედიოდა საქართველოს სუვერენიტეტი. მას უფრო კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუს გენერლებთან, მაგალითად, დენიკინთან, ვიდრე საქართველოს მთავრობასთან. ბრიტანელი გენერალი ბრიმსი აცხადებდა, რომ საქართველოსთვის „...უმჯობესია ერთიან რუსეთში შევიდეს და დენიკინისგან ბოძებულ თვითმმართველობას დასჯერდეს“ (ჯანელიძე 2009: 140). ეს ნახატიც ამ განწყობის თვალნათელი გამოხატულებაა: ინგლისს არ აწყობს დამოუკიდებელი საქართველო.

II. საქართველო – 1921 წელი

კარიკატურა: საქართველო და საბჭოთა რუსეთი¹



¹ „ეშმაკის მათრახი“. 1920, N58, გვ. 16.

ნახატზე „საქართველო და საბჭოთა რუსეთი“ არ იკითხება მხატვრის გვარი. ის შესრულებულია 1921 წელს. მასზე კვლავ ვხედავთ ქალის სახით გამოსახულ საქართველოს, რომელიც წელს ზემოთ არის შიშველი, თავზე კი ქართული ჩიხტიკოპითაა შემოსილი. იგი გარშემორტყმულია გველეშაპით, რომელიც მას მკერდს ჰკვეთს. ამ ნახატის სიმბოლოების მიღმა ცალსახად იკითხება შემდეგი: ქალის სიშიშვლე სიმბოლური გამოხატულებაა იმ საფრთხეებისა, რომლებიც საქართველოს გასაძროებას წინასწარმეტყველებენ და რომელთა წინაშე ქვეყანა მაშინ სრულიად მარტო აღმოჩნდა, ყოველგვარი მოკავშირის გარეშე. მკერდის მოკვეთა ამ საფრთხეების გარდაუვალობაზე მიუთითებს. გველეშაპი, ბოროტების და სიკვდილის სიმბოლო, ჰკვეთს მას მკერდს, რათა მან ვეღარ შეძლოს თავისი პირმშოს – დამოუკიდებლობის გამოკვება, ანუ ქვეყანამ ვეღარ გააგრძელოს არჩეული კურსით სვლა. ნახატზე ასევე ვხედავთ შავ ფონს. ზოგადად, სიშავე, სიბნელე, ღამის წყვდიადი ქაოსის, დაბნეულობის, გაურკვევლობის რეპრეზენტირებას ახდენს. ის მუქარის ერთგვარი წარმოდგენაა, როდესაც შეიძლება დაიკარგო ქაოსში და დაკარგო კონტროლი. ამ ხერხით შესრულებული კარიკატურები, გარდა პოლიტიკური ფონისა, – უფრო ემოციურ განწყობებზე მოქმედებენ და თითქოს ანალიტიკურ დისკუსიას მეორე პლანზე გადასწევენ.

სიბნელის, გაურკვევლობისა და ცუდის მოლოდინის წინასწარმეტყველებაა შემდეგი კარიკატურაც, 1921 წლის პირველი იანვრის გამოცემის თავფურცელი.¹



ნახატის ზედა მარჯვენა კუთხეში იკითხება მხატვრის გვარი – ნადარეებიშვილი. მთავარი გმირი აქ ნოე უორდანია. იგი თითქოს კუთხეშია მიმწყვდეული, ხელჯონით ზის სიბნელეში და შესცემერის საათს, რომელიც 12-ს უჩვენებს. ნოე უორდანიას უკან, კარზე, გამოსახულია საქართველოს გერბი. კარს ადევს ბოქლომი. საათის ქვეშ, უორდანიას წინ დგას კომუნისტი, თავზე წითელი არმიელის ქუდით, ხელში კომბალით, ჯოხით. იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ცინიკური გამომტყველებით მიმართავს: „ძია, არ მოგძებრდა და-

¹ „ეშმაკის მათრახი“. N54. 1921. თავფურცელი.

რაჯობა. მოდი გამოცვალო. დახე საათსა, – დროა კიდეც! ნოე: წადი თავმრთელო, ყმაწვილო, და გახსოვდეს, რომ „არ შეჰვენის ვირსა რქანი, ყვავსა ვარდი!“.

ნახატზე გამოსახული სიმბოლოებით გადმოცემულია მაშინდელი საქართველოს ვითარება. ბოქლომდადებული და დაპატიმრებული გერბი უნდა იყოს მაშინდელი ქართული საზოგადოების იმ შეგრძნების მანიფესტირება და წინასწარი განცდა, რომ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას დიდი დღე არ უწერია, მისი დრო ამონურულია, ბედი გადაწყვეტილი. ხელჯოხებიც არ უნდა იყოს შემთხვევითი დეტალი. ნოეს ხელჯოხი სიმბოლოა დამარტოხელებული და მიტოვებული ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა, რომელსაც არანაირი ქმედითი ძალა არ გააჩნია თავიდან აიცილოს ოკუპაცია. ოკუპანტის ხელჯოხს ასოციაციურად მიყყავართ რუსეთის რევოლუციისაკენ, როდესაც სათავეში ბოლშევიკები, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოვიდა. ეს ხელჯოხი თთქოს ამ რევოლუციის მენტალური მდგომარეობაც არის: ამ „ხელჯოხმა“ ჩამოაგდო მეფე და ამ „ხელჯოხით“ შეიარაღებული მოდის ის ხელისუფლებაში, იმყარებს მომავალშიც პოზიციებს. ნახატში ასევე ორივე პერსონაჟის ფონზე ვხედავთ სიბნელეს. პირველის სიბნელე დაბნეულობა და ქაოსია, უსუსურობის განცდა. მეორის სიბნელე კი – ბნელი, საბჭოთა იდეოლოგია, რომელსაც მაშინდელი მთავრობა წინ ვერ აღუდგა.

დასკვნა

ნარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ ყურადღება გაგვეემახვილებინა იმ ასპექტებზე, რომლებიც გვიჩვენებენ, როგორ აყალიბებდა იმ დროის პოპულარული მედიასაშუალება „ეშმაკის მათრახი“ ე.წ. სახეებს ანუ სტერეოტიპებს კარიკატურაში კულტურული და ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებით.

მაშასადამე, სახვითი ხელოვნების ეს საინტერესო მიმართულება – კარიკატურა, რომელიც რენესანსის სრულყოფილი მხატვრობის – Perfetta bellezza¹ კონტრახელოვნებად, – Perfetta Deformita²-დ იყო მიჩნეული, დიდი ხანია უკვე სრულიად სხვა მიზნებს უსახავს მხატვარსაც და საზოგადოებასაც. კარიკატურა, როგორც ისტორიული რეალობის გამოხატვის საშუალება, ორმაგი ეფექტის მქონე მიმართულებაა. ერთი მხრივ, ის ვიზუალური ხერხებით ისტორიული წარსულის რეპრეზენტირებას ახდენს, მეორე მხრივ კი, გარკვეული ხედვების, სტერეოტიპების გამოყენებით, საკუთარი და სხვათა სახეების გადახედვისა და გააზრების საშუალებაც არის.

გამოყენებული ლიტერატურა:

სთორი, ჯონ. კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა, თბილისი, 2007.

შარაძე, გურამ. ქართული ემიგრანტული უურნალისტიკის ისტორია. ტომი VI. თბილისი, 2005.

ჯანელიძე, ოთარ. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი, 2009.

ნოდია, გია. „ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები: ზოგადი მონახაზი“. ქართველი ერის დაპარება (ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები), 26-27 ნოემბერი, 2007.

Plum, Angelika. Die Karikatur im Spannungsfeld von Kunstgeschichte und Politikwissenschaft Eine ikonologische Untersuchung zu feindbildern in Kariakturer . Shaker Verlag. Aachen, 1998.

პრესის მასალები:

უურნალი „ეშმაკის მათრახი“. 1920, N10, N13, N27.

1921, N 54.

¹ Perfetta bellezza – სრულყოფილი სილამაზე. სილამაზის რენესანსისეული აღქმა. მაგ.: რაფაელისეული სრულყოფილი სილამაზე მხატვრობაში.

² Perfetta deformita – იგულისხმება, რომ კარიკატურა, როგორც სრულყოფილების დეფორმაცია, იტალიურ რენესანსში სილამაზის კლასიკურ გაგებას უპირისპირდებოდა ხელოვნებაში.

ANA KHVEDELIANI

**GEORGIAN AND INTERNATIONAL ACTORS ACCORDING
TO CARICATURES OF CELEBRITIES
(1920-1921)**

Summary

The goal of my study is to use Georgian political caricatures as the historical source in order to interpret a certain period (1917-1921) in the history of Georgia.

Caricature is the political satiric graph, drawings and sketch genre that reflects significant events of a certain time and provides estimations. Largely important is political caricature as it is considered to provide a significant source for the analysis of historical facts. The specificity of caricature lies in the fact that it is clear, exaggerated and often disputed. They basically do not follow the objective or neutral estimation of reality. Hence, it is important to understand how effectively a certain caricature conveys the problem of the situation at hand. This is the very reason of this study, to see how popular media of that time was viewing the historical reality, national position about the event, how objective or subjective it was while reflecting those events through symbols and metaphors.

While conducting the system analysis of political caricature, the following factors are taken into consideration:

1. Who the drawer is; the title of the caricature; the period and place where it was created and published.
2. Coverage of the caricature subject. Which of the historical events or facts is covered in a certain caricature? What certain historical fundamentals have to be acknowledged to properly interpret the caricature?
3. What stereotypes, symbols and metaphors we see in the caricature?

Based on this methodology, as the material to study the issue, an important public and political edition the “Devil’s Whip” (“Eshmakis Matrakhi”) is used. The magazine was being published with some break in 1915-1917 and 1919-1921. The last issue was published on 14 February 1921. Art and drawings in the “Devil’s Whip” (Eshmakis Matrakhi”) magazine belong to O. Shmerling and Sh. Kikodze.

The use of the “Devil’s Whip” (“Eshmakis Matrakhi”) caricatures as historical sources is caused by certain reasons, namely, by the significance of the historical period. The main internal and external political events in Georgia following the 1917 revolution in Russia – reinstitution of autocephaly, declaration of Georgia as a democratic republic, relations with neighbor states – Azerbaijan and Turkey, Batumi issue, relations between Georgia and England and, finally, the period prior to the occupation of Georgia by Russia in 1921 are the issues sequentially and systematically covered in the caricatures published in the “Devil’s Whip” (Eshmakis Matrakhi) magazine.

ნინო ტაბეშაძე

კოლექტიური ტრავეტის ამსახველი ნარატივები (ზაზა ბურჭულაძის რომან „ადიბასი“ მაგალითზე)

ქართული საზოგადოებისთვის ბოლო წლების ყველაზე დასამახსოვრებელ მოვლენად 2008 წლის აგვისტოს ომი იქცა. მის მიერ გამოწვეულმა ტრავმამ შეცვალა სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის ცხოვრება. აგვისტოს ომმა გამოიწვია პოსტტრავმული სტრესის გაჩენა, რომელსაც საზოგადოება დღემდე ებრძვის. შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ტრავმული გამოცდილების დაძლევის პროცესშია.

სტატიის მიზანია მოკლედ მიმოიხილოს კოლექტიური ტრავმის ფენომენი და გააანალიზოს ტრავმაზე შექმნილი ნარატივი, კერძოდ, ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“. თავდაპირველად შევეხებით კოლექტიური ტრავმის ფენომენს.

კოლექტიური ტრავმა კოლექტიური მეხსიერების ნაწილია. ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით, მეხსიერება გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და ღირსშესანიშნავად მიჩნეული მოვლენების დაფიქსირებით (Lebow, Kansteiner and Fogu 2006: 8). მეხსიერება შუამავალია წარსულსა და აწმყოს შორის, იგი სამ დონეზე შეისწავლება (Lebow 2006: 8):

- 1) კოლექტიურ;
- 2) ინდივიდუალურ და
- 3) ინსტიტუციურ დონეზე.

ტრავმები ინვევს ცვლილებებს კოლექტიურ მეხსიერებაში. კოლექტიური ტრავმის საზოგადოდ მიღებული განმარტება ასეთია: „კოლექტიური ტრავმა არის ჯგუფის წევრთა ან მთლიანად კოლექტივის მიერ გაზიარებული ფსიქოლოგიური ეფექტი. კოლექტიურ ტრავმაში შეიძლება ჩართული იყოს რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი ან მთელი საზოგადოება“ [Lebow 2006: 6]. თუმცა, ეს განსაზღვრება სრულად ვერ ასახავს კოლექტიური ტრავმის ბუნებას. ის გაცილებით ღრმა კვალს ტოვებს საზოგადოებასა და მის შემდგომ განვითარებაზე.

კოლექტიური ტრავმა, ძირითადად, მოვლენები ან პროცესებია, რომელთაც საზოგადოება განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდება, ანმყოში შეძენილი მნიშვნელობის გამო. კოლექტიური ტრავმა საზოგადოებებზე სხვადასხვანირად მოქმედებს. მოვლენათა მსხვერპლმა, შესაძლოა, უარი თქვას ცხოვრების ჩვეულებრივ გაგრძელებაზე, რაც საზოგადოების მიერ აიხსნება როგორც „ტრავმის ერთგულება“. სპეციალისტებისთვის კი ეს პოსტტრავმული სტრესია, რომელსაც განსაკუთრებული ნიშნები ახასიათებს. მათგან უმთავრესია ფსიქოლოგიური ფუნქციის დარღვევა, რაც ინტენსიური გამოცდილების შედეგია.

კოლექტიური ტრავმის შედეგად მიღებული პოსტტრავმული სტრესი დაძლევადია და ამისი ერთ-ერთი და ყველაზე გავრცელებული ხერხი ტრავმაზე წერაა. კოლექტიურ ტრავმაზე წერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მკვლევარი ჯეფრი ალექსანდერი თავის ნაშრომში გვაცნობს კოლექტიურ ტრავმასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ თეორიას: კოლექტიური ტრავმის აღქმა მხოლოდ ჩვენს ქვეცნობიერს ძალუს. ტრავმის იგნორირების მიზნით, ადამიანის ცნობიერი არ აანალიზებს მომხდარს, პირიქით, თავს აიძულებს, განზრახ დაივიზუოს მომხდარი. ამგვარი ზენოლა ფსიქიკაზე იწვევს პოსტტრავმულ სტრესს. სტრესი დაძლევადია „მეხსიერების აღდგენის“ შემთხვევაში. ამაში კი ნარატივები უნდა დაგვეხმაროს. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი ტრავმისადმი მიძღვნილი ნარატივების შესწავლა (Alexander 2004: 5).

მკვლევრებმა გამოყვეს კოლექტიური ტრავმის ამსახველი ნარატივების მახასიათებლები, ანუ ის, რითაც ვსაზღვრავთ, ნარატივი კოლექტიური ტრავმის დაძლევას ეძღვნება თუ არა (Alexander 2004: 53):

- 1) მოცემული ნარატივის ტექსტმა მოვლენა უნდა ასახოს, აჩვენოს, რა მოხდა.
- 2) ნარატივმა მკაფიოდ უნდა ასახოს დაზარალებული ჯგუფი.
- 3) ნარატივმა უნდა გვაჩვენოს, რომ ტრავმულმა მოვლენამ არა მხოლოდ ერთ ჯგუფზე, არამედ მთელს საზოგადოებაზე მოახდინა გავლენა.
- 4) ნარატივმა უნდა წარმოადგინოს, ვინ არის დამნაშავე მომხდარში, ვინ უნდა აგოს პასუხი.

ამ მახასიათებლების გათვალისწინებით და ზოგად თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, ანალიზისათვის შევარჩიეთ ნარატივი, რომელსაც დაწვრილებით განვიხილავთ და მოცემული კრიტერიუმებით მისი ბუნების განსაზღვრას შევეცდებით. ჩვენი ნაშრომის მიზანია კოლექტიური ტრავმის ფენომენის შესწავლა 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ნარატივის მაგალითზე: როგორ აისახება პოსტტრავმული საზოგადოების მდგომარეობა ნარატივში, ან როგორი ნარატივებით ცდილობს საზოგადოება კოლექტიურ ტრავმაზე პასუხის მონახვას?

მოცემული სტატიის მიზანია კოლექტიური ტრავმის კუთხით დაინახოს ნაწარმოები, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. კერძოდ, ზაზა ბურჭულაძის „ადიბასი“. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნილი ნარატივების მიზანი არამხოლოდ ტრავმის დაძლევა ან მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდებაა. ტრავმაზე წერა, ზოგადად, გულისხმობს საზოგადოების ფსიქოლოგიურ-მენტალური მდგომარეობის გადმოცემასაც. ზუსტად ამას ცდილობს ჩვენ მიერ არჩეული ნარატივი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი იმ ნარატივის განხილვაა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. მისი ავტორი ქართველი საზოგადოების წევრია, შესაბამისად, 2008 წლის აგვისტოს ომის ტრავმის მონაწილე. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მრავალი სხვადასხვა ტიპის ნაწარმოები შეიქმნა, თუმცა ჩვენ არჩევანი ზაზა ბურჭულაძის რომანზე შევაჩერეთ, რადგან მისი შექმნა ავტორმა ომის დასრულებისთანავე დაიწყო. რა თქმა უნდა, არის სხვა ნარატივებიც (მაგ. თამთა მელაშვილის „გათვლა“, პროექტი „გმირი“ და ა.შ.). თითოეულმა ავტორმა თავისებურად ასახა ტრავმა და თავისებურად გამოხატა საზოგადოების პასუხი. თუმცა ყველა ეს ნარატივი კოლექტიურ ტრავმას უბრუნდება და მას აღწერს. აგვისტოს ომისადმი მიძღვნილ ნარატივთა შორის ქრონოლოგიურად პირველი ზაზა ბურჭულაძის „ადიბასია“.

ზაზა ბურჭულაძე ქართული ლიტერატურის ეპატაჟურ მწერლად ითვლება. ის ზოგადად არ ერიდება თამამ სიუჟეტებსა და სკანდალურ კომენტარებს. ერთი მხრივ, გასაკვირი იყო, როდესაც სრულიად აპოლიტიკურმა მწერალმა აგვისტოს ომზე გადაწყვიტა ყურადღების შეჩერება. შედეგად შეიქმნა „ადიბასი“, რომელიც ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი თემაა. პოსტტრავმული სტრესის ერთ-ერთი ნიშანი ტრავმის იგნორირება/უგულებელყოფაა. ზაზა ბურჭულაძის პერსონაჟები ომის იგნორირების გზას ადგებიან და ამით პოსტტრავმული სტრესის ერთ-ერთ ნიშანს ავლენენ.

ნიგნის წაკითხვისთანავე ჩნდება ემოცია, რომ ნიგნი ომზეა, თუმცა თავად 2008 წლის აგვისტოს ომი მასში ნაწყვეტ-ნაწყვეტადაა წარმოდგენილი, რაც თხრობას კიდევ უფრო დრამატულს ხდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ადიბასი“ მეტად ქართველი საზოგადოების კრიტიკა, ვიდრე ომისადმი მიძღვნილი რომანი, თუმცა ომი ნაწარმოების პირველსავე თავში გვხვდება:

„პულტით „იმედზე“ ვრთავ. ტანკების კოლონა რაღაც ტრასაზე მიემართება. კადრს მიღმა დიქტორი სხაბასხუპით ამბობს: „...გენერალი კულახმეტოვი დეზინფორმაციას უწოდებს და კატეგორიულად უარყოფს რუსული ტანკების თბილისში შესვლის ფაქტს. ამის მიუხედავად, დიდ დილომში უკვე ერთი საათია ისმის ინტენსიური სროლები...“

მოცემული საზოგადოებისთვის აგვისტოს დღეები მშვიდი და რიგითა, თუმცა ომის შესახებ ცნობები ახალი ამბების მეშვეობით ვრცელდება:

„ზალიდან ტელევიზორის ხმა ისმის: „...მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ქალაქის ცენტრისკენ კიდევ მიემართება ორმოცდამეორე დივიზიის მოტომსროლელი ბატალიონი. მათ შორის ოთხმოცი ერთეული მძიმე ტექნიკა და ოცდაათი ტანკი...“

ომი ნაწარმოების სრულფასოვანი პერსონაჟია, რომელიც მოულოდნელად ჩნდება და ერთგვაროვან, ყოფიერ სურათს მრავალფეროვნებას ანიჭებს:

„ტაქსის დინამიკებიდან დიქტორის ხმა ისმის: „....რუსული არმიის ქვედანაყოფები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მიემართებიან. ბლოკსაგუშავოებია გახსნილი პეკინის ქუჩის დასაწყისში, სპორტის სასახლესთან და “საზოგადოებრივ მაუნიებელთან“...“

მთელი წიგნი ომის სურათებითა და ცნობებითაა სავსე:

„.... ცოტა ხნის წინ რუსულმა სამხედრო ავიაციამ თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე პომპი ჩამოაგდო. ინვის ორი ჰექტარი ტყის მასივი...“

ამ ქალაქში მიმდინარე მოვლენები არავის ანალვლებს, ტელევიზორიდან კი ხმა ისმის:

„....შევახსენებთ, რომ დანაღმულია სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ვარა ზისხევის აღმართი ზოოპარკის მხრიდან და კოსტავას ქუჩა კინოთეატრ „ამირანთან“...“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრავმისადმი მიძღვნილი ნარატივის ერთ-ერთი მახასიათებელი იმისი ასახვა, თუ რა მოხდა. ზაზა ბურჭულაძე თავის წიგნში ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეგვახსენებს ომის შესახებ, თუმცა ამას საოცარი სიზუსტით აკეთებს. ამრიგად, ტრავმული ნარატივის პირველი წიგნი სახეზეა.

ტრავმულმა ნარატივმა აუცილებლად უნდა ასახოს საზოგადოების მდგომარეობა.

თავისთავად ძალიან საინტერესოა იმ საზოგადოების მდგომარეობა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თბილისშია. ავტორი ცდილობს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილის მდგომარეობა გადმოსცეს, რომელიც ცხოვრების სტილს ოდნავადაც არ იცვლის და ტრავმის უარყოფის გზას ირჩევს. ისინი ისე ცხოვრობენ, თითქოს არც არაფერი მომხდარა. აյ ძალაუნებურად ფსიქოლოგიური ფარი გაგვახსენდება, რომელიც მსხვერპლს ტრავმის იგნორირებაში ეხმარება. იგნორირება საზოგადოების მცდელობაა თავი დაიცვას. ეს, ერთი მხრივ, შეიძლება მოქალაქეთა გულგრილობად ჩავთვალოთ, მეორე მხრივ კი პოსტტრავმული სტრესის სინდრომად. საზოგადოებას უჭირს იმისი აღიარება, რომ მისი ცხოვრება იცვლება და ყოველდღიური ჩვეული პრაქტიკა უნდა შეიცვალოს. ამიტომ, ომის ციებ-ცხელებისას თბილისელები ვაკის საცურაო აუზზე ერთობიან:

„ვაკის საცურაო აუზზე ძლომად ხალხია: ბანდიტების ქვრივები სილიკონის მკერდით, ბიზნესმენების ცოლები წელზე ცელულიტით, ბარბა-გოგონები მზის უზარმაზარი სათვალეებით, დედიკოს ბიჭები ახდენილი ოცნებებით, ახალგაზრდა ჯანიანი სხეულები პირდაპირ ევროვიზიის კონკურსზე გასამგზავრებლად გამზადებულები... დილიდან მოთენთილი თბილისელები აუზის გარშემო შეზღუდვებზე ტენტის ქვეშ ყრიან“ (გვ 5).

საოცარი და ოდნავ გასაკვირია ის გულგრილობა, რომლითაც თბილისელები ავიაგამანადგურებელს უყურებენ:

„მზარდი გუგუნი უცბად თავის პიეს აღწევს და უცბადვე ქრება. ავიაგამანადგურებელი ისე დაბლა მიფრინავს, რომ მის ბორტზე მიბმული ქარი და ჩრდილი აუზს ზედ უვლის. ბართან მდგარი ზონდები მძიმედ ირჩევა... არავინ არაფერს იმჩნევს. მხოლოდ გამხდარი ქალი სკამიდან გვერდზე იხრება, ცაში იყურება“.

საგაზეთო ჯიხურთან მისულ გმირს რადიოს ხმა ესმის:

„.... რუსული ავიაციის მიერ დღეს უკვე მეორედ დაიბომბა ვაზიანის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, საპარავო შეტევის შედევად დაიღუპა რვა და დაიჭრა ოცამდე ადამიანი“.

ჯიხურის გამყიდველი ამ დროს ერთ-ერთ ბულვარულ უურნალს კითხულობს და საერთოდ არ უსმენს რადიოს.

„გამყიდველი დანით პურს ჭრის. პარალელურად, ავტომატის კაკანი და აფეთქების ხმა ისმის. რადიოში კი აცხადებენ: „ეს წუთია რუსეთის სამხედრო ვერტმფრენებმა გაგარინის მოედნის და

საბურთალოს ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო კონვენციით აკრძალული ჭურვები და კასეტური ბომბები ჩამოყარეს...“

ქალაქი განგებ უარყოფს და უგულებელყოფს საფრთხეს, რომელიც მათ უბანში, მათ გვერდით ხდება. ზაზა ბურჭულაძის პერსონაჟები სახინკლესა და აუზებზე კლავენ დროს, ომი კი მათ-თვის საჭორაო თემაა. საინტერესოა ავტორის მიერ თხრობის ორგანიზებაც: საკმარისია მკითხველმა ყურადღება მოადუნოს და დაივიწყოს ის ვითარება, რაც ქალაქშია, რომ მწერალი მაშინვე რაიმე ხერხით ახსენებს ომს. აგვისტოს ომთან მიბრუნება წიგნის მუდმივი ტენდენციაა.

შაკო (მთავარი პერსონაჟი) შემზარავ სცენას ხედავს:

„ვიტრაჟიდან კედელზე დამონტაჟებულ ეკრანზე ვხედავ, როგორ ვდია სისხლით სახემთხვრილი ვიდაც ბებია ცეცხლნაკიდებული კორპუსის წინ და კამერისკენ უმნეოდ იშვერს ხელებს. იქვე წითელი ჯვრის მანქანაა აყირავებული, გვერდით ცარიელი მიკროავტობუსი ბოლავს – ბორბლები დამწვარი აქვს. შუა კადრში სტალინის ძეგლი ხელუხლებლად დგას. როგორც ჩანს, გორის კადრებია. ბელადის ძეგლს დღესდღეობით მარტო იქ თუ ნახავ. სადღაც უკან ჯარისკაცი მირბის ავტომატის კაკანით“. ეკრანის ქვეშ კი ბანკის სარეკლამო წარწერა ჩნდება.

წიგნი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნისგან შედგება. ყველა მათგანში წიგნის მთავარი პერსონაჟი ტრავმის იგნორირებას ირჩევს, ის ერთი თბილისელი ბიჭი/კაცია, რომლისთვისაც ომის მოვლენები არც საინტერესოა და არც – საგანგაშო. ის ომშე საერთოდ არ ფიქრობს. ომი მისთვის აბსტრაქტული და უინტერესო მოვლენაა. თუმცა ომი მაინც ჩნდება, ეს შეფარულად ხდება, ხან ტელევიზიის რეპორტაჟების წყალობით, ხანაც გოგონას ტატუს მეშვეობით:

„ორი კვირის წინ შუა კეფაზე პატარა მიზანი დაიხატა: დიამეტრით ორსანტიმეტრიან ნრეში ჩასმული კიდევ ერთი ნრე თავისი ჯვრით“,

ხანაც ტატუს არჩევანის დროს:

„ომის ღმერთი მომენტი – უიცილოპორჩტლი, რომელიც სინამდვილეში კოლობრი აღმოჩნდა. თავით ფეხებამდე შეიარაღებულს, რაინდის აჯგარი ეცვა“.

ომის აჩრდილი ქუჩაშიც გვხვდება და საინტერესოა, რომ მთავარი გმირი არც კი ინტერესდება, არც კი კითხულობს, რა ხდება:

„ქუჩაში ორი ბეტეერი დგას. ერთი ლენინგრადის, მეორე კამოს ქუჩას კეტავს. ზედ ქართული დროშებია აღმართული... ვერ ვხვდები, ასე ემზადება არმია ქალაქის თავდაცვისთვის თუ მხოლოდ თავდაცვის იმიტაცია იქმნება“.

ავტორი სასოწარკვეთილად ცდილობს გაარღვიოს ის ბურუსი და ის ფსიქოლოგიური კედელი, რომელიც ქალაქის მცხოვრებლებსა და რეალობას შორისაა აღმართული, თუმცა – ამაოდ. „ადიბასის“ პერსონაჟები უდრტვინველად განაგრძობენ თავის ცხოვრებას, ემზადებიან ფოტოსესიებისთვის, სამეზობლოში აზარტული თამაშებით ერთობიან.

„საიდანდაც ძალიან ახლოს აფეთქების ხმა ისმის. ტაქსის ოდნავ ანჯლრევს“. თუმცა, ინსპექტორიც და ტაქსის მძღოლიც არაფერს იმჩნევენ. გმირის სიტუაციაში ერთადერთი დისონანსი სარეკლამო ბანერს შეაქვს: „აირჩიე შენი რეზერვი!“.

ყოველი ამგვარი ეპიზოდის წაკითხვისას მკითხველს წინასწარ განწირული მოლოდინი იპყრობს: განუწყვეტლივ ჩნდება სურვილი, ვინმეს თვალი აეხილოს და რომელიმე პერსონაჟმა რაიმე მოიმოქმედოს, თუნდაც, აირჩიოს რეზერვი. სამზუხაროდ, მთელი წიგნის მანძილზე ეს მხოლოდ მკითხველის სურვილად რჩება. საზოგადოება ტრავმას საერთოდ არ ცნობს, თითქოს ის მათ ქალაქში საერთოდ არ ხდება. სწორედ ამიტომ უჭირს შაკოს თოლიას ავიამზვერავისგან გარჩევა:

„ვერ ვხვდები, ჭადრაკის სასახლის თავზე მართლა უპილოტო მზვერავი-თვითმფრინავი ტრიალებს თუ მხოლოდ თოლიაა“.

საბოლოოდ გმირის შიში მართლდება, ვინაიდან ეს რუსული სადაზვერვო თვითმფრინავი აღმოჩნდა (რც 08). მეეზოვე მთავარ გმირს დასხივებისგან გადაარჩენს და შემდეგ პლაზმურ ეკრანზე მთავარი გმირი ხდავს:

St. Augustine (354-430) played a great role in the introduction of all the disciplines of the ancient world into Western European Christianity. He wrote about this issue in his treatise "On Christian doctrine" and "On the order". According to him, the seven liberal arts prepared people for the perception of truth. St. Augustine wanted to employ the teachings of these disciplines in practice in order to facilitate the development of reading and conversational skills on the Bible due to the fact that symbolic exegesis occupied a great place in his works. He considered Mathematics and Logic as inevitable means against heresy. Boethius (480-524) and Cassiodorus (487-578) made a great contribution to the understanding and enhancement of the seven liberal arts. Boethius divided them into trivium and quadrivium (he was the first to use these terms). Cassiodorus discussed all the disciplines based on one system: he explored and analysed their etymology, referred to the scholars working on them as well as to their works and defined various directions for their development. Cassiodorus explains the use of the figure 7, which is associated with the Biblical *exegesis*: seven subjects are eternal and interrelated like 7 days of the week. According to the Bible, 7 is eternal and unchanged (for instance, praying seven times a day). Learning these disciplines, according to Cassiodorus, leads to the perception of God. Like St. Augustine, Cassiodorus also considers that the seven liberal arts facilitate the perception of the Bible, which determines the achievement of practical results.

Later, in the 8th-9th centuries, the so called Carolingian Renaissance, characterised by substantial changes regarding the education at a school level, also revealed the ultimate Christian aim of learning, which is preparation of a pupil for reading Christian texts and God's teachings.

In that period the school in York, England, where a prominent teacher Alcuin (735-804) taught, was considered to be exemplary. Alcuin approached the seven liberal arts in a traditional way and stated that the disciplines were valuable only if employed as tools to reach their main goal – to master the Bible and not when used separately.

Thus, the study of the evolution of the contents of the seven liberal arts enables us to discuss the Christian character of the educational policy of the early Middle Ages and consider it as an attempt at desecularisation. This article shows how the learning and teaching process was loaded with Christian character and symbols by the authors from the early Christian period.

რევაზ ქოიავა

საპატია ანტისემიტიზმის ფორმირება სტალინის მართვის და მოწოდების პერიოდში

შესავალი

ჩემი კვლევა ეხება ანტისემიტიზმს საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი სტალინის მმართველობის პერიოდში. საბჭოთა ანტისემიტიზმი დაწყების დღიდან მიიპყრო მკვლევართა ყურადღება და იგი აქტუალურობას დღესაც არ კარგავს. საბჭოთა იდეოლოგია მისი განვითარების ეტაპებზე მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიდა და ცდილობდა მმართველი ძალის პოლიტიკურ ინტერესებს მორგებოდა. იგი აქტიურად ითვისებდა სხვა იდეოლოგიებიდან აღებულ პრინციპებსაც, რის მაგალითიც არის სოვეტიზმში რუსული იმპერიული ნაციონალიზმის და ნაციზმის ელემენტების შესვლა.

კვლევის მიზანია დაამტკიცოს, რომ საბჭოთა ანტისემიტიზმი არ იყო ცალკე არსებული ფენომენი და იგი რუსულ იმპერიულ-მესიანური იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილს ნარმოადგენდა, რომელმაც არსებობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც გააგრძელა; იდეოლოგიისა, რომელმაც ხელახალი აღორძინება 30-იან წლებში, სტალინის მმართველობის დროს დაიწყო. სწორედ ამ იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილი იყო ანტისემიტური პოლიტიკაც, რომელმაც აპოგეას სტალინის მმართველობის უკანასკნელ წლებში მიაღწია. საბჭოთა იდეოლოგია ამპერიოდში თავისი არსით მესიანისტური გახდა და იგი მესიანისტური იდეოლოგიებისთვის დამახასიათებელ ანტისემიტიზმის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებს ატარებდა. მესიანისტური იდეოლოგიები მუდმივ მოძრაობაში არიან და რეინკარნაციას განიცდიან. იმავდროულად, ყოველი მათგანი თავის დროს დოქტრინალური ანტისემიტიზმის ცენტრს ნარმოადგენდა.

მეთოდოლოგია

კვლევის დროს გამოვიყენებ პროცესის მიყოლის მეთოდს (Process Tracing). იგი მიზნად ისახავს იმ ფაქტორების და წინაპირობების შესწავლას, რომლებიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და მოვლენებს უძღვის წინ. აღნიშნული მეთოდი პოლიტიკურ მეცნიერებებში შედარებით ახალია და იგი ორ ათეულ წელს მოითვლის. მეთოდის დამამკვიდრებლებად ალექსანდრ ჯორჯი და ენდრიუ ბენეტი ითვლებიან. პროცესის მიყოლა გარკვეული მოვლენების გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და რთული გადაწყვეტილებების მიღების გასაანალიზებლად გამოიყენება. ეს მეთოდი რთული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების კვლევას უზრუნველყოფს და აქცენტს იმ ძირითად მიზეზებზე აკეთებს, რომლებიც საბოლოო სურათს ქმნის. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით ჰიპოთეზის შემოწმება გადაწყვეტილების მიღებამდე მიმდინარე პროცესების და მათი გამომწვევი მიზეზების დეტალური შესწავლით ხდება, ანუ მთავარი მიზანია იმ ძირითადი ხაზის დადგენა, რამაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება გამოიწვია. ჯორჯი და ბენეტი პროცესის მიყოლის მეთოდით კვლევის დროს მკვლევრებს ურჩევენ ისტორიული და საარქივო დოკუმენტები, ინტერვიუების ჩანაწერები და სხვა წყაროები შეისწავლონ, რომლებიც საკვლევ თემას ეხება (Tansey 2007: 14).

აღნიშნული მეთოდის ფარგლებში შევისწავლე სტალინის პერიოდში და მის შემდგომ საბჭოთა ანტისემიტიზმის ფორმირებაზე შექმნილი ლიტერატურა და სამეცნიერო სტატიები, ასევე გავეცანი

იმ პერიოდში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, წერილებს და ინტერვიუებს. იმ მიზნით, რომ ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია სრულყოფილი და მიუკერძობელი ყოფილიყო, სხვადასხვა ავტორის და პოლიტიკური ფიგურების არგუმენტებს გავეცანი, რამაც ჩემს საკვლევ სფეროზე სრული სურათი შემიქმნა.

კვლევის დიზაინიდან არჩევანი კონკრეტული შემთხვევების დიზაინზე გავაკეთე. ჩემი მიზანია შევისწავლო ანტისემიტური კამპანია საბჭოთა ეპოქის კონკრეტულ მონაკვეთში და მისი გავლენა როგორც სსრკ-ის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, ასევე მის შემდგომ მსოფლიოში ფორმირებულ იდეოლოგიებზე. ვთვლი, რომ კონკრეტული შემთხვევების დიზაინი საშუალებას მომცემს, აღნიშნული საკითხი საფუძვლინად განვიხილო, სწორი დასკვნები გავაკეთო და ჩემ მიერ დასმულ საკვლევ კითხვას პასუხი გავცე.

საბჭოთა ანტისემიტიზმის ფორმირება 30-იან წლებში

30-იანი წლების დასაწყისში ბერლინში საბჭოთა დისიდენტ სერგეი დმიტრიევსკის ორი წიგნი გამოჩნდა, რომელთაც რუსული ემიგრაციის ყურადღება მიიპყრეს. ანტისემიტი ავტორი სტალინური ფრაქციის გამარჯვებას შიდაპარტიულ მონინაალმდეგებზე რუსული პატრიოტების ებრაულ გავლენაზე გამარჯვებად აღიქვამდა. იგი საბჭოთა კავშირში ნაციონალური მოტივების აღზევებას ელოდა, რომელთაც, მისი აზრით, ებრაული ნარმოშობის კომუნისტები ენინაალმდეგებოდნენ. ემიგრაციის ნაციონალისტურად განწყობილი წრეები, დმიტრიევსკის მსგავსად, თავის იმედებს სტალინის გამარჯვებაზე ამყარებდნენ. მიუხედავად ამისა, ტაბუ რევოლუციამდელ ანტისემიტიზმზე არ მოხსნილა.

ეს გარემოება დაკავშირებულია ბოლშევიზმის უნართან, ორსახა იანუსის მსგავსად, თავის საფუძველში ცვლილებით, იმავდროულად საკუთარი თავის ერთგული დარჩენილიყო. ოქტომბრის რევოლუციიდან დაწყებული, ბოლშევიკები გასაოცარ ტაქტიკურ სირბილეს ავლენდნენ. ისინი მზად იყვნენ ყოველდღიურად საკუთარი იდეოლოგია რეალობისთვის მოერგოთ.

დოქტრინასა და პრაგმატიზმს შორის დაპირისპირების გარდა, ბოლშევიზმი სხვა ამბივალენტურობასაც შეიცავდა, რაც მის ანალიზს ართულებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკებმა თავისი სისასტიკით უპრეცედენტო ტერორისტული რეჟიმი შექმნეს, ისინი მაინც სუსტების და ჩაგრულების დამცველებად, სოციალური და ნაციონალური თანასწორობისთვის მებრძოლებად აღიქმებოდნენ.

„მესამე რაიხის“ წინსვლიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირი ბევრი ანტიფაშისტისთვის ბოლო იმედად რჩებოდა, მათ შორის ებრაელთა წრეებისთვის, რომლებიც სტალინის მიერ გამოცხადებულ ომს ანტისემიტიზმის წინაალმდეგ სიმართლედ აღიქვამდნენ. სტალინის კომუნისტი მონინაალმდეგები და, პირველ რიგში, ლევ ტროცკი, ამბობდა, რომ სტალინი ებრაელთა კარტან ერთად ანტისემიტურ კარტსაც ათამაშებდა. ეს აზრი ტროცკიმ 1937 წელს ნიუ იორკის ებრაულ გაზეთ „ფორვერტსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა (Trotzki 1988: 1040). ტროცკის მოსაზრებებმა ებრაულ წრეებში აღშფოთება გამოიწვია, ისინი ცილისწამებად იქნა აღქმული და მალევე დავიწყებას მიეცა.

სახალხო ფრონტის წარუმატებლობამ საფრანგეთსა და ესპანეთში და დასავლური სახელმწიფოების მიერ ჩეხოსლოვაკეთის გაყიდვამ სტალინს გადააწყვეტინა ძლიერების მხარე დაეჭირა. ეს ძალა კი მაშინ ნაციონალ-სოციალიზმი იყო.

მოსკოვის პროპაგანდისტული ლექსიკონი 1939 წლის გაზაფხულიდან ძირეულად შეიცვალა. იშვიათად ისმოდა იმ კლასებისა და ერების მიმართ სოლიდარობა, რომლებიც თავისუფლებისა და თანასწორობის იბრძოდნენ. უფრო ხშირად საუბრობდნენ გეოპოლიტიკურ კანონებზე, რომელთაც საბჭოთა კავშირი უნდა მორგებოდა (Mullyniemi 1979: 219). გერმანულ-საბჭოთა მეგობრობის დროს საბჭოთა მასობრივი საშუალებები დუმდნენ ნაცისტების მიერ ებრაელთა დევნაზეც. პროდასავლური საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლიტვინოვი, რომლის ებრაული წარმოშობაც ბარიერი იყო გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობებში, მოლოტოვმა ჩაანაცვლა. მას კო-

მისარიატის ებრაელებისგან გაწმენდა დაევალა. მიუხედავად ამისა, სტალინის უახლოეს წრეში ჯერ კიდევ მრავალრიცხოვნად იყვნენ წარმოდგენილი ებრაული წარმოშობის ფუნქციონერები.

სხვაგვარად იყო საქმე უბრალო ადამიანებისთვის. 1939-1940 წლებში შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ებრაელები იყვნენ უცხო სხეულები, კუნძულები სოვიეტიზიბულ ზღვაში. მათ რელიგიური, კულტურული და სოციალური დაწესებულებები შენარჩუნებული ჰქონდათ. საბჭოთა ებრაელობისთვის მათთან შეხვედრა საკუთარ წარსულში მოგზაურობის მსგავსი იყო.

თუმცა ამ გადახრას საბჭოთა ნორმიდან შეუძლებელი იყო დიდხანს ეარსება. სტალინის ტერორის ორგანოებმა მალე დაიწყეს ყველა ავტონომიური ებრაული ორგანოს წინააღმდეგ მსვლელობა, რათა რაც შეიძლება მალე აღმოეფხვრათ, „უცხოს ხეული“ დიდ უნიფიცირებულ სახელმწიფოში. შემოერთებული ტერიტორიების ებრაული მოსახლეობის მასობრივმა დეპორტაციებმა და დაკავებებმა 1939-1940 წლებში მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ნელ-ნელა გაქრობა გამოიწვია (Gilboa 1971: 14-19). ამ ვითარებაში მოხდა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერის თავდასხმა. სტალინის ხელისუფლებამ კვლავ დაიწყო საკუთარი ფსევდოდემოკრატიული რიტორიკის გამოყენება. სტალინის საბჭოთა კავშირი ახლა დასავლეთის დემოკრატიებით „იბურავდა თავს“ და ცივილიზებული ერების ჯგუფში ერთიანდებოდა. ჰიტლერის სსრკ-ზე თავდასხმის დღეს უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: „ის, ვინც ნაციზმის წინააღმდეგ იბრძვის, ჩვენს მხარდაჭერას მიიღებს... ამიტომაც რუსეთისკენ მიმართული საფრთხე არის საფრთხე ჩვენთვის და აშშ-ისთვის და თითოეული რუსის ბრძოლა საკუთარი სახლისთვის არის მსოფლიოს ყველა თავისუფალი ადამიანის და ერის ბრძოლა“ (Churchill 1951: 443).

საბჭოთა ანტისემიტიზმი მეორე მსოფლიო ომის დროს

ისტორიის ირონიით, თავისუფალი სახელმწიფოების და მცირე ერების ავტონომიური უფლებების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონინააღმდეგეც თავისინების საწინააღმდეგოდ დასავლური დემოკრატიების და ევროპელი ებრაელობის გადამრჩენელად გადაიქცა. თავის მხრივ, კრემლის ხელმძღვანელობამ არა მხოლოდ ფსევდოდემოკრატიული, არამედ ფილოსემიტური რიტორიკის გამოყენება დაიწყო. 1941 წლის 24 აგვისტოს რეჟიმმა საბჭოთა ებრაელობის წარმომადგენლებს მოსკოვში მიტინგის გამართვის უფლება მისცა, რომელიც რადიოთიც გადაიცემოდა. შეკრება მსოფლიოს ყველა ებრაელს მოუწოდებდა, მხარი დაეჭირა საბჭოთა კავშირისთვის ამ ბრძოლაში.

სწორედ ამ პერიოდში დაიბადა ებრაელთა ანტითაშისტური კომიტეტის შექმნის იდეა (Костырченко 1994: 23). იდეის ავტორები იყვნენ ვიქტორ ალტერი და ჰენრიხ ერლიხი. ისინი 1939 წლის სექტემბერში პოლონეთში საბჭოთა კავშირის შექრის შემდეგ დაკავეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა 1941 წლის 12-13 სექტემბერს გაათავისუფლეს. პოლიტიკური პატიმრებიდან ისინი საბჭოთა ფუნქციონერთათვის პარტნიორებად გადაიქცნენ. მოლაპარაკებებს ამ ორ პიროვნებასთან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლავრენტი ბერია აწარმოებდა (Костырченко 1994: 27-29).

თუმცა 1941 წლის 3 დეკემბერს ეს ორი პიროვნება ისევ დააკავეს. სტალინის სახელმწიფომ, რომელიც ფსევდოდემოკრატიულ განცხადებებს აკეთებდა, კვლავ გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე. არგუმენტები, რითაც ორივე პოლონელ-ებრაელი სოციალისტის დაკავება აიხსნა, 1936-1938 წლებში არსებული საჩვენებელი პროცესების არგუმენტების მსგავსი იყო. ალტერი და ერლიხი „მესამე რაიხის“ სასარგებლოდ ჯაშუშობაში დაადანამაულეს. ამ თემატიკის სპეციალისტი გენადი კოსტიორჩენკი თვლის, რომ ერლიხი და ალტერი მზად იყვნენ, მიზნის მისაღწევად ეთანამშრომლათ სტალინთან, თუმცა საკუთარ იდენტობაზე უარის თქმას არ აპირებდნენ. სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებთან ერთად, ერლიხს და ალტერს ხელი პოლონურმა წარმომავლობამ შეუშალა. პოლონური ელიტა საბჭოთა ხელისუფლებას დიდ საფრთხედ მიაჩნდა და მის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა.

ორივე ლიდერის დაკავებიდან თორმეტი დღის შემდეგ კომიტეტის ხელმძღვანელობა მოსკოვში ებრაელთა სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელს, სსრკ-ის სახალხო არტისტ სოლომონ

მიხოელსს შესთავაზეს (Костырченко 1994: 56). სტალინის გეგმით, აღნიშნული კომიტეტისთვის სწორედ „ხელქვეით“ ებრაელს და არა დაუმორჩილებელ პოლონელებს უნდა ეხელმძღვანელათ. მიხოელსის დანიშვნასთან ერთად, ანტიფაშისტური კომიტეტის მიზნები დაისახა, რომელიც 1943 წლის თებერვალში გენერალურმა მდივანმა ეპშტეინმა გაახმოვანა: „ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის ძირითადი საქმიანობა იყო და არის ებრაელთა მასების მოპილიზაცია მსოფლიოში ფაშიზმთან საბრძოლველად“ (Костырченко 1994: 73).

თუმცა კომიტეტის საქმიანობის მხოლოდ საგარეო პოლიტიკური მიმართულება მის მრავალ წევრს არ აკმაყოფილებდა. ისინი კომიტეტის ამ მიმართულებას „მინიმალისტურად“ მიიჩნევდნენ. განსაკუთრებით მძაფრად აღნიშნულ მინიმალისტურ პოლიტიკას მნერალი ერენბურგი აკრიტიკებდა. ერენბურგი თვლიდა, რომ „კომიტეტის მთავარი საქმიანობა უნდა ყოფილიყო ანტისემიტიზმთან ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში“ (Костырченко 1994: 78).

რატომ გამოავლინა ზუსტად მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ანტისემიტიზმმა აქტიურად თავი საბჭოთა კავშირში? ბევრი ავტორი ებრაელთა მიმართ მტრული განწყობილების ზრდას მოსახლეობის ნაცისტური პროპაგანდით „დაავადებით“ ხსნის: 70 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე ერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვდა. თუმცა შეიძლება ებრაელებისადმი ეს მტრობა იმ „სტიქიური დესტალინიზაციის“ შედეგიც იყო, რომელსაც ომის საწყის ეტაპზე ჰქონდა ადგილი (Гефтер 1991: 418).

მოსახლეობაში აქტიურად ვრცელდებოდა აზრი, თითქოს ებრაელები ფრონტის ხაზიდან „იმალებოდნენ“. რომ დაპირისპირებოდა მსგავს ჭორებს, ანტიფაშისტურმა კომიტეტმა ერენბურგის ხელმძღვანელობით გამოსაცემად მოამზადა „წითელი წიგნი“, რომელსაც უნდა აღეწერა ებრაელთა წვლილი მეორე მსოფლიო ომში (Костырченко 1994: 72).

მხოლოდ თეზისი „ებრაელთა მშიშრობის“ შესახებ არ ინვევდა საბჭოთა ებრაელების გაღიზიანებას. უკმაყოფილებას ისინი საბჭოთა პრესაში ნაცისტების მიერ ებრაელთა მკვლელობების გაშუქების შესახებაც გამოხატავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტთა სიმხეცეები საბჭოთა კავშირში ოფიციალურ პრესაში დეტალურად აღინერებოდა, იშვიათად იყო მითითებული ებრაელთა ტრაგედიის განსაკუთრებული ხასიათი. ებრაელთა ტრაგედიის დამალვის ტენდენციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ეაკ-მა პოლოკოსტზე დოკუმენტების შეგროვება დაიწყო. ისინი ე.ნ. „შავი წიგნის“ საფუძველი უნდა ყოფილიყო. ამ პუბლიკაციის იდეა დიდ ფიზიკოს ალბერტ აინშტაინს ეკუთვნოდა. წიგნს მხარი ანტიფაშისტურმა კომიტეტმა, კერძოდ კი ერენბურგმა დაუჭირა. 1944 წლის გაზაფხულზე მას „შავი წიგნის“ ლიტერატურული გაფორმება დაევალა (Костырченко 1994: 85).

პარალელურად დაიწყო „ანტისემიტიზმი ზემოდან“. უკვე 1942 წლის ზაფხულში ცკ-ს პროპაგანდის ხელმძღვანელმა გიორგი ალექსანდროვმა შეადგინა წერილი, სადაც საუბრობდა „ებრაელთა სიჭარეზე“ კულტურის გარკვეულ სფეროებში და რასობრივი პრინციპით „მასობრივი წმენდის“ ჩატარებას მოითხოვდა. კოსმოპოლიტების წინააღმდეგ ბრძოლის ბაზისი, რომელიც ექვსი წლის შემდეგ დაიწყო, აქ ჩაიყარა. უკვე 1942 წელს ებრაელებს „ნაციონალურ ნიპილისტებს“ და „რუსული კულტურული ღირებულებების დამანგრევლებს“ უწოდებდნენ. რუსული პატრიოტიზმისკენ მოწოდება, რომელიც სტალინს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებაში უნდა დახმარებოდა, 1942 წლიდან დაწყებული, ანტისემიტიზმის ელემენტებს შეიცავდა (Костырченко 1994: 80).

დაახლოებით 1943 წლიდან შეიზღუდა, ხოლო მალევე საერთოდ შეწყდა დიპლომატიურ სამსახურში ებრაელთა მიღება, სადაც ისინი ადრე ლინგვისტური შესაძლებლობების გამო ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი. ანალოგიური სიტუაცია იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში და სხვა პოლიტიკურ თუ სამეცნიერო დაწესებულებებში. იქაც შემოიღეს ებრაელთა რიცხვის „ნომინირება“, რაც ხშირ შემთხვევებში ნულს უტოლდებოდა (Шვარც 1952: 211).

რაც უფრო უიმედო ხდებოდა საბჭოთა ებრაელების ყოველდღიურობა, მით უფრო მიმზიდველი იყო მათთვის სტალინის, როგორც „უტყუარი ბელადის და დიდი მასწავლებლის“ სახე. სტალინი მათთვის არ იყო მილიონობით თანამემამულის მკვლელი, 1939-1941 წლებში პიტლერის მოკავ-

შირე და საბჭოთა შეიარაღებული ძალების ომის საწყის ეტაპზე განადგურების მთავარი შემოქმედი. სტალინის სახელი წითელი არმიის გამარჯვებებს და საბჭოთა ებრაელების ნაცისტური გეგმისგან – „ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტისგან“ გადარჩენას უკავშირდებოდა (Костырченко 1994: 102).

ეჭვგარეშეა, რომ ბოლშევიზმი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ საკუთარი იდეოლოგიური საფუძვლების განახლების პირას იმყოფებოდა. უკვე 30-იან წლებში იგი ნაციონალური რუსული ტანსაცმლით შეიმოსა, თუმცა ინტერნაციონალიზმის აქსესუარებიც არ მოუშორებია: თვით კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობა რეჟიმს მის შენარჩუნებას აიძულებდა. 1943 წლის მაისში კი ეს დაბრკოლება მოიხსნა. კომინტერნი დაიშალა. ბოლშევიზმის რუსიფიკაცია ახალ ფაზაში გადავიდა. ბოლშევიკების აზრით, რუსული პატრიოტიზმი იყო ის ძალა, რომელმაც 1930 წლის რეიხსტაგის არჩევნების შემდეგ დაუმარცხებელი ნაციზმი გაანადგურა. სტალინმა ეს წვლილი დააფასა. იგი რუს ერს სულ უფრო და უფრო ემხრობოდა. მმართველი ბოლშევიკური ელიტა, რომელიც ადრე მრავალეროვნულობით გამოირჩეოდა, ახლა უფრო და უფრო რუსიფიცირდებოდა. შესაბამისად, უკვე ომის დასასრულს, საბჭოთა კავშირში დაიწყო ჩამოყალიბება ტენდენციამ, რომ მსოფლიო გადაარჩინა არა პროლეტარულმა ძალამ, არამედ რუსულმა იდეამ. ყველაზე ხშირად ციტირებულ სტალინის სადღეგრძელოს, სადაც იგი რუს ხალხს მსოფლიოს ყველა ხალხს შორის გამოარჩევდა, თავისი პრეისტორია ჰქონდა (Сталин 1963: 203-204).

ბოლშევიზმის მზარდი რუსიფიკაციის მიუხედავად, იგი ამბივალენტურობას მაინც არ კარგავდა. მისი ინტერნაციონალური კომპონენტი კვლავ ძალაში იყო. ბოლშევიზმი არასდროს ახდენდა „რუსულ“ იდეასთან სრულ იდენტიფიკაციას. ამიტომაც ის ანტისემიტური ტალღა, რომელიც რეჟიმმა 1942-1943 წლებში წამოიწყო, ბევრი მკვლევრის ყურადღების მიღმა დარჩა. მაგალითად, 1952 წელს შვარცი წერდა, რომ 40-იან წლებში საბჭოთა კავშირი ანტისემიტიზმს ფარულად იტანდა, თუმცა მას არ აღვივებდა. 1944-1945 წლებში ებრაელთა სახელმწიფოს ყირიმში ჩამოყალიბების თემაც კი აქტიურად განიხილებოდა. სიტუაცია 1949 წლიდან შეიცვალა (Шварც 1952: 214-215).

ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ აღნიშნულ გეგმაზე უარი განაცხადა. ჩანდა, რომ ანტიფაშისტური კომიტეტის საქმიანობაც დასასრულს უახლოვდებოდა: „მესამე რეიზზე“ გამარჯვების შემდეგ მისი პროპაგანდისტული მისია ამონურული იყო. ამიტომაც არავის გაკვირვებია, როდესაც ომის დასრულებისთანავე საბჭოთა ხელისუფლებამ კომიტეტის დაშლა გადაწყვიტა. 1945 წლის მარტში ლოზოვსკიმ შერბაკოვს ყველა ანტიფაშისტური კომიტეტის სასწრაფოდ დაშლის იდეა მიაწოდა, რადგანაც მათ საკუთარი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდათ. დაიწყო ეკ-ის მძაფრი კრიტიკა. იმავდროულად, ცკ-ს პროპაგანდის განყოფილებამ აკრძალა შავი წიგნის გამოცემა, რომელსაც ეკ- და მისი ხელმძღვანელი მიხოლსი ითხოვდა. შავი წიგნი ებრაელთა ნაციონალისტურ გამოვლინებად იქნა აღქმული (Костырченко 1994: 111-112).

რაც უფრო მეტად იხრებოდა საბჭოთა ხელისუფლება რუსი ერის განდიდებისკენ, მით უფრო მკაცრად რეაგირებდა იგი სსრკ-ის არარუსი ხალხების „ნაციონალისტურ გამოხტომებზე“. თავისთავად, გამონაკლისს არც ებრაელები წარმოადგენდნენ. უფროსი ჰეგემონი ერის ყველა „უმცროს ძმას“ უნდა სცოდნოდა, რომ თითქმის რუსული ნაციონალიზმის შეუზღუდავი პროპაგანდა შეთავსებადი იყო მარქსიზმის ინტერნაციონალურ სწავლებასთან. თუმცა არარუსი ხალხის მიერ საკუთარი ტრადიციების გააზრება მიუღებლად და „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის“ გამოვლინებად ითვლებოდა. შესაბამისად, ებრაელებიც საბჭოთა კავშირის სხვა არარუს ხალხებთან ერთად ერთ ნავში მოხვდნენ.

სტალინის სისტემას, რომელიც აბსურდული იყო, არ შეეძლო დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლაციის, სამხედრო ისტერიის გაღვივების და მუდმივი მტრის არსებობით გამონვეული ფსიქოზის გარეშე ეარსება. მხოლოდ ომის დროს, როდესაც რეალური მტრის წინააღმდეგ იბძოდა, იყო სისტემა ნამდვილად მოქმედი. მხოლოდ ეს ეხმარებოდა ხალხს რეჟიმისთვის გაეძლო. მოგვიანებით, ბრეჟენევის პერიოდში, მწერალი კონსტანტინ სიმონოვი კოლეგა ვიაჩესლავ კონდრატიევთან სა-

უბრისას ომს ასახავდა როგორც „ერთადერთ ნათელ წერტილს საბჭოთა კავშირის ისტორიაში“. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რა მძიმე იყო „მშვიდობიანი“ ცხოვრება, თუ ომი, რომელმაც 27 მილიონი ადამიანი შეინირა, აღქმულიყო „ნათელ წერტილად“.

სტალინის სურვილს ომის შემდეგ სსრკ-ში 30-იანი წლების აბსურდული სისტემის აღდგენა წარმოადგენდა. ამჯერად სტალინის გეგმა თავის უმთავრეს ამოცანად იმში გამარჯვებით ამაყი ხალხის ხელახლა განვრთნას ისახავდა, რათა ისინი კვლავ ტოტალიტარული მექანიზმის ნაწილად ექცია. მან კვლავ დაიწყო მოჩვენებების მოგონება: ხალხის წარმოსახვითი მტრები, აგენტები, შეთქმულთა წრეები. საბჭოთა მოქალაქეები კვლავ მიეჩვივნენ მუდმივ სიფხიზლეში ცხოვრებას, ჯაშუშებისა და მტრების დაკავებას. შესაბამისად, სტალინი კვლავ თავის სტიქიაში იყო.

საბჭოთა ანტისემიტიზმი სტალინიზმის ბოლო წლებში

1946 წლის აგვისტოში საბჭოთა ლიტერატურამ დისციპლინის გამყარების კამპანია დაიწყო, რომელიც ჟდანოვთან იყო ასოცირებული. პარტიამ ლიტერატურაში „კოსმოპოლიტიზმი“ და პროდასავლურ ტენდენციების გამოუცხადა ბრძოლა (Hahn 1982: 25). 1947 წლის თებერვალში საბჭოთა მოქალაქეების უცხოელებზე ქორნინება აიკრძალა. სულ უფრო და უფრო ხდებოდა დასავლეთის დემონიზაცია. საბჭოთა მოქალაქეებს იქიდან მომავალ საფრთხეებზე აფრთხილებდნენ. სტალინის ხელმძღვანელობას სურდა, ის მდგომარეობა აღედგინა, რომელიც ქვეყანაში ომის დაწყებამდე იყო. ამერიკული და ინგლისური იმპერიალიზმის ძებნას, რომელსაც ომი და პროლეტარული სახელმწიფოს განადგურება სურდა, ეს სურვილი უნდა დაეკანონებინა. მტრის სახე ხალხში გავრცელებულ ებრაელის სახეს უახლოვდებოდა. ანტისემიტიზმი, რომელიც 1942 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე მხოლოდ ზედაპირულ გავლენას ახდენდა, ოფიციალური კურსის სახეს იღებდა. ეს ცვლილება საბჭოთა ებრაელების ეროვნული სიმბოლოს –მიხოელსის მკვლელობით დაიწყო, რომელიც 1948 წლის 13 იანვარს მინსკში განხორციელდა (Vaksberg 1994: 180). მიხოელსის მკვლელობა უნდა ყოფილიყო ახალი რეპრესიების დაწყების საბაბი. მიხოელსის მკვლელობის შემდეგ სტალინის გონებაში დიდი ხნის მომნიဖებული იყო კომიტეტის დაშლის და ებრაელთა ახალი რეპრესიების გეგმა.

თუმცა აღსანიშნავია, რომ სტალინის პოლიტიკა ებრაელების მიმართ მიხოელსის მკვლელობის შემდეგაც ამბივალენტური რჩებოდა. მაგალითად, 1947 წლის გაზაფხულზე მოსკოვმა თავისი რადიკალური ანტისიონისტური პოზიცია შეცვალა და პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის მხარდაჭერა აქტიურად დაიწყო (Dagan 1970: 24-35). ასევე მხარი დაუჭირა ისრაელს არაბული სახელმწიფოების თავდასხმის შემდეგ. სსრკ-ის აღნიშნული დამოკიდებულება გეოპოლიტიკური მიზნებით იყო ნაკარნახევი. სტალინი ისრაელის მხარდაჭერით ცდილობდა ახლო აღმოსავლეთში ანგლოსაქსური პოზიციები შეესუსტებინა (Silberner 1983: 205).

შესაბამისად, საბჭოთა კავშირი ორ დიამეტრულად განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა. ერთი მხრივ, საგარეო არენაზე იგი ისრაელის სახელმწიფოს შექმნას უჭერდა მხარს, ხოლო ქვეყნის შიგნით რადიკალურ ანტისემიტურ კურსს ატარებდა.

ისტორიის განმავლობაში ბოლშევიზმი დამარცხებული მონიაალმდეგეების იდეოლოგიას ხშირად იღებდა. მაგალითად, ვლადიმერ ლენინმა ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ესერების პარტიის აგრარული პროგრამა გამოიყენა. სამოქალაქო ომის დროს ბოლშევიკებმა ერთიანი რუსეთის და რუსული იმპერიის რესტავრაციის შესახებ „თეთრი“ იდეა აიტაცეს. 30-იან წლებში მათ „თეთრი პროგრამის“ სხვა კომპონენტი – რუსული ნაციონალიზმი აითვისეს. დაბოლოს, მესამე რეიხზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა რეჟიმმა ნაცისტური იდეოლოგიის გარკვეული ელემენტები გამოიყენა.

„კოსმოპოლიტებთან ბრძოლის კამპანიის“ ფარგლებში, მთელ ქვეყანაში რასობრივი პრინციპით მასობრივი წმენდები მოეწყო. მრავალი საბჭოთა დაწესებულება, ხელისუფლების ორგანო და, პირველ რიგში, უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობა თითქმის მთლიანად „გათავისუფლდა ებრაელებისგან“.

ეაკ-ის დაშლის შემდეგ დაიწყო მისი წევრების დაკავება. თუმცა, 1949 წლის დასაწყისში დაგეგმილი პროცესი ეაკ-ის წევრების ნინააღმდეგ მხოლოდ 1952 წლის შუაში ჩატარდა. მთელი ამპერიოდის განმავლობაში უსაფთხოების სამსახურები სხვა საქმეებით იყვნენ დაკავებული: განსაკუთრებული ინტენსიონით სპეცსამსახურები ე.წ. „ლენინგრადელების საქმეზე“ მუშაობდნენ, რომლითაც კრემლის ხელმძღვანელობა მეორე შიდაპოლიტიკურ ფრონტს ხსნიდა. ამჯერად კრემლში არა მხოლოდ „კოსმოპოლიტიზმს“ და ებრაელებს, არამედ ე.წ. „რუსულ შოვინიზმსაც“ ებრძოდნენ, რომლის პროპაგანდასაც თითქოს პარტიის „ლენინგრადული ფრაქცია“ ეწეოდა (Наумов 1994: 194).

„ლენინგრადულების საქმის“ დასრულების შემდეგ სტალინს კვლავ შეეძლო ებრაელთა საკითხით დაკავებულიყო. 1948-1949 წლების ბრძოლა კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, რომელმაც ანტისემიტიზმზე ტაბუ მოხსნა, იყო მოსამზადებელი ეტაპი ებრაელთა უფრო ფართომასშტაბიანი დევნის, რომელიც 1951-1952 წლებში მიმდინარეობდა. ამ მსვლელობაში კი უმნიშვნელოვანესი იყო ექიმთა საქმე, რომლის ფარგლებში ებრაული წარმოშობის ექიმებს საბჭოთა ფუნქციონერების შეგნებულად არასწორი მეთოდებით მუკრნალობა დაბრალდათ. სტალინი 1936-1938 წლების დიდი ტერორის გამეორებას აპირებდა. თუმცა ამჯერად მთავარ ბოროტებად უნდა ქცეულიყვნენ არა ტროკისტები და ზინოვიევისტები, არამედ ებრაელები.

1952 წლის მაისში მოსკოვში სამხედრო ტრიბუნალმა 1948-1949 წლებში დაკავებული ეაკ-ის წევრების წინააღმდეგ დახურული პროცესი დაიწყო. მოსამართლე ჩეგცოვას მოსმენის დაწყებამდე პოლიტბიუროს გადაწყვეტილების შესახებ აცნობეს: 14 ბრალდებულიდან 13-ს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. პოლიტბიუროს მიერ დასახელებული პირები 1952 წლის აგვისტოში დახვრიტეს. მათ შორის იყვნენ ლოზოვსკი, მწერლები და პოეტები: იციკ ფეფერი, პერეც მარკიში, ლევ კვიტკო, დავიდ ბერგელსონი, დავიდ გოფტენი და მოსკოვის ბოტკინის სახელობის საავადმყოფოს ყოფილი მთავარი ექიმი ბორის შიმელიოვიჩი (Этингер 1993: 2-3).

რატომ არ გაიმართა ეს პროცესი ღიად? გარკვეული ავტორები ამის მიზეზად დაკავებულთა სიმამაცეს ასახელებენ. მათ სასამართლოზე ის აღიარებითი ჩვენებები უარყვეს, რომელთაც დაკავების შემდეგ მოაწერეს ხელი (Костыриченко 1994: 179). თუმცა ეს თეზისი არადამაჯერებლად გამოიყურება. სტალინის ტერორის სპეციალისტები ათწლეულების განმავლობაში ღია პროცესებზე ბრალდებულთა მხრიდან ცრუ ჩვენებების გამეორების უზრუნველყოფას წარმატებით ახერხებდნენ. სავარაუდოდ, სტალინმა ეაკ-ის წევრების მიმართ ღია პროცესზე უარი სხვა მიზეზით თქვა. ის მას ისეთი მასშტაბის საქმედ არ თვლიდა, რომელიც რეზონანსს გამოიწვევდა. ძირითადი ბრალდებულები საშუალო როლის ებრაელი მწერლები და ფუნქციონერები იყვნენ, რომლებიც ქვეყანაში ნაკლებად ცნობად სახეებს წარმოადგენდნენ. ერთადერთი გამონაკლისი იყო ცკ-ის წევრი ლოზოვსკი. თუმცა ეს არ იყო საკმარისი, რომ მოსახლეობა კოლოსალურ „ებრაულ საფრთხეში“ დაერწმუნებინათ. სხვაგვარად იყო საქმე „თეთრხალათიან მკვლელებთან“ დაკავშირებით. სსრკ-ში 1951 წელს 35 ათასი ებრაელი ექიმი მუშაობდა (Rapoport 1990: 154). ისინი კოლექტიური ზიზლის ობიექტის კრიტერიუმებს უფრო აკმაყოფილი გდინენ.

საჩვენებელი პროცესის სცენარი კრემლის ექიმების წინააღმდეგ, ძირითადად, სტალინის მიერ იყო მომზადებული. იგი ყოველდღიურად კითხულობდა დაკითხვის პროტოკოლებს, ითხოვდა მეტ სისასტიკეს, რათა დაკავებულ ექიმებს აღიარებით ჩვენებებზე მოეწერათ ხელი. ამის შესახებ ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე ისაუბრა: „სტალინი თვითონ არჩევდა გამომძიებლებს, მიუთითებდა მათ ძიების მეთოდებზე, ხოლო ეს მეთოდები ერთადერთი იყო: წამება, წამება და წამება“ (Лъясс 1995: 254).

სტალინი თავისი პოლიტიკური გეგმების შესასრულებლად აქტიურად იღწვოდა, რაც ხშირად მიღიონბით ადამიანის მკვლელობას მოითხოვდა. ფანატიკოსი ჰიტლერისგან განსხვავებით, მას, სულ მცირე, 50-იანი წლების დასაწყისში შეეძლო ხელსაყრელ მომენტს დალოდებოდა. იგი მზად იყო დროებითი პაუზებისა და ტაქტიკური შეჩერებებისთვის. ამ მეთოდებით მან თავის დროზე სსრკ-ში გლოხთა საკითხი, „პოლმეციკების ძვილი გვარდიის“ ბეჭი და წითელი არმიის

ოფიციერთა კორპუსის საქმე გადაწყვიტა. ახლა კი ებრაელთა ჯერი დადგა. „სლანსკის საქმიდან“ ექვსი თვის შემდეგ მსოფლიო საზოგადოებამ „პრავდას“ სტატიიდან მძიმე ბრალდების შესახებ შეიტყო, რომელშიც ცნობილი კრემლის ექიმები მონანილეობდნენ. არასწორი დიაგნოზებით და მკურნალობის მეთოდებით ისინი თითქოს ცდილობდნენ ქვეყნის მთავარი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურები მოეშორებინათ. ტერორისტული ჯგუფის წევრთა უმეტესობა, როგორც „პრავდა“ წერდა, საერთაშორისო ებრაულ ბურუუაზიულ-ნაციონალისტურ ორგანიზაციებთან იყო დაკავშირებული. სტატიას თან სკპც ცენტრალური ორგანოს კომენტარი დაერთო, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, სტალინი იყო (Костырченко 1994: 195). სტალინის კომენტარი შეიცავდა თეზისას სოციალიზმის წარმატებასთან ერთად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ, ფარულ მტრებზე, რომლებიც მეგობრების ნიღბებს ეფარებიან და საბჭოთა ადამიანებს რევოლუციური სიფხიზლისკენ მოუწოდებდა. მოგვიანებით თავდაცვის მინისტრმა ბულგანინმა დაადასტურა ჭორები ებრაელთა ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში მასობრივი გადასახლების გეგმის შესახებ. უკვე გამზადებული იყო შესაბამისი დოკუმენტები. ბულგანინმა პირადად სტალინისგან მიიღო ბრძანება ებრაელთა ორგანიზებული გადასახლების მიზნით მოსკოვსა და ქვეყნის სხვა დიდ ცენტრებთან სამხედრო სარკინიგზო ეშელონების მიყვანის შესახებ. იმავდროულად, იგეგმებოდა „სარკინიგზო შემადგენლობების ავარიები“ და ებრაელებით სავსე მატარებლებზე „სტიქიური“ თავდასახმები (Этингер 1993: 47-49).

სტალინის ხელქვეითები „ებრაული საკითხის გადაჭრას“ აგრძელებდნენ იმ შინაარსით, რომელსაც მასში დიქტატორი დებდა. მაგრამ არა მხოლოდ ამით. როგორც ცნობილია, სტალინი „პარტიული კადრების საფუძვლიან განახლებასაც“ აპირებდა. ზოგიერთი ავტორი „ექიმების საქმი“ პირველ რიგში სწორედ საბჭოთა მმართველ ელიტაში „წმენდის“ ჩატარების საბაბს ხედავს. ექიმების საქმის დროს ხდებოდა იმ ფაქტის აფიშირება, რომ მათ მოკავშირები უმაღლეს პარტიულ სფეროში ჰყავდათ და ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუსჯელად მოქმედებას ამიტომაც ახერხებდნენ. სტალინის ძეველი მოკავშირეებისთვის, რომელთაც 30-40-იანი წლები გადაიტანეს, ამ ბრალდების არსი მაშინვე ნათელი გახდა. ისინი ახალი გიგანტური წმენდის ჩასატარებლად მოემზადნენ.

განსაკუთრებით მკაცრად მოლოტოვი და მიქოიანი დაისაჯნენ, რომლებიც დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. მოლოტოვთან და მიქოიანთან ერთად, პოლიტბიუროს სხვა წევრებიც, მათ შორის, ანდრეევი და ვოროშილოვი იყვნენ დათხოვნის პირას. განსაკუთრებით რთულად იყო ბერიას საქმე, რომლის კომპრომეტირებაც სტალინს 1951 წელს შეთითხნილი „მეგრელთა საქმით“ სურდა (Чуев 1991: 474).

იყო ექიმთა საქმე მხოლოდ კრემლის დესპოტის უახლოეს წრეთა მოსამორებლად წამოწყებული საქმე? თავისთავად – არა. სტალინის მსვლელობას ებრაელების წინააღმდეგ ჰქონდა შიდა ლოგიკა, რომელიც მის შიდა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჩანს, რომ სტალინმა სიცოცხლის ბოლოს არა მხოლოდ ნაციონალისტური იდეოლოგიის ბევრი ელემენტი გადაიღო, არამედ – ამ იდეოლოგიის შემოქმედის პიროვნული თვისებებიც.

სტალინის მმართველობის ბოლო წელს კრემლის ხელმძღვანელობის ანტისემიტური კურსის მკვეთრი რადიკალიზაცია მოხდა. ამ რადიკალიზაციაზე მიუთითებენ წყაროები, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მხოლოდ ბოლო წლებში გახდა ხელმისაწვდომი. მაგალითად, 1952 წლის 1 დეკემბერს სტალინმა ცკ-ს სხდომაზე განაცხადა: „ყველა ებრაელი – ნაციონალისტია, იგი ამერიკული დაზვერვის აგენტია. ებრაელი ნაციონალისტები თვლიან, რომ მათი ერი აშშ-მ გადაარჩინა... ისინი თავს ამერიკელების წინაშე ვალდებულებად მიიჩნევენ“ (Костырченко 1994: 140-141).

ებრაელებსა და ყველაზე საშიშ საგარეო-პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს შორის კავშირის დადგენა ჰეგავდა კონსტრუქციას, რომელიც სტალინმა ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოიყენა. იგი მაშინაც ორ ფრონტზე იბრძოდა – „ფაშიზმთან“ საგარეო ფრონტზე და ტროცკიზმთან – საშინაოზე. სტალინის პროპაგანდის თანახმად კი საგარეო და საშინაო მტრები ერთმანეთთან კავშირში იყვნენ. მიუხედავად „ორი მტრის“ თეორიის სრული აბსურდულობისა, მან დიდი ტერორის დროს

მაინც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. რა შედეგები ექნებოდა ამ თეორიის „მოდერნიზებულ ვარიანტს“ ებრაელებისთვის, რთული სათქმელია, რადგანაც მისი პრაქტიკაში გამოყენება ვერ მოხერხდა.

დეტალური განხილვა საკითხებისა, თავისი სიკვდილით მოკვდა თუ არა სტალინი, ჩემი კვლევის ფარგლებს მიღმა გადის. თუმცა ერთი რამ ცხადია: მისმა სიკვდილმა არა მხოლოდ ათასობით საბჭოთა ებრაელის, არამედ მმართველი ოლიგარქის წევრების სიცოცხლეც გადაარჩინა.

გამოვლინდა, თუ რა მჭიდროდ იყო სტალინური სისტემა მისი შემქმნელის პიროვნებასთან დაკავშირებული და რამდენად მცირე შანსი ჰქონდა მას სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაეგრძელებინა არსებობა. უკვე რამდენიმე კვირაში ატმოსფერო საბჭოთა კავშირში მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1953 წლის 4 აპრილს მოსკოვის ახალმა ხელისუფლებამ „ექიმთა საქმე“ შეწყვიტა და იგი ყოფილი უშიშროების სამსახურის ორგანოების პროვოკაციად გამოაცხადა.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა რეჟიმი თავის დასასრულამდე არ გათავისუფლდა ანტისემიტიზმისგან, რომელიც მას მემკვიდრეობით გვიანი სტალინიზმისგან ერგო.

რუსული მესიანისტური იდეოლოგიის აღზევება

სტალინის იდეოლოგია ყოველთვის პოლიტიკას ემსახურებოდა და ემორჩილებოდა ძირითად მიზანს – მისი ერთპიროვნული მმართველობის გამყარებას ქვეყანაში, კომუნისტურ ექსპანსიას და სსრკ-ის დომინაციას მსოფლიოში.

ამ მიზნის რეალიზაცია სტალინის გნოსტიკურ-დუალისტური მესიანისტური იდეოლოგიის ორ ურთიერთდამოკიდებულ ფუნქციას განსაზღვრავდა: 1) აპოლოგეტური – მესიის დამკვიდრება, მისი სახის და როლის განსაზღვრა, იმ ჯგუფების მობილიზაცია, რომელიც რეჟიმის სოციალური დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ. 2) ნეგატივისტური – მტრის დოქტრინისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბება, რეპრესიული „მათრახის“ აუცილებლობის გამართლება, საზოგადოების „ერთოულებად“ და „მტრებად“ დაყოფით შიშის დათესვა.

ნაციონალ-იმპერიული მესიანისტური დოქტრინის არჩევა მოითხოვდა იმ სოციალური ჯგუფების როლის ზრდას, რომელიც მსგავს იდეოლოგიას უჭერდა მხარს. ეს ნიშნავდა, რომ ამიერიდან სტალინი აპარატში, ძალოვან სტრუქტურებში და ინტელიგენციის წრეში ამ ჯგუფებზე და არაინტერნაციონალისტ-ლენინისტებზე აკეთებდა აქცენტის. ხალხი, რომელიც ბელადის პოლიტიკას ატარებს და პროპაგანდას უწევს, რეჟიმის სოციალური დასაყრდენი ხდება. მისთვის იდეოლოგია თამაშობს არანაკლებ მნიშვნელოვან როლს, ვიდრე რეპრესიული სისტემა. შესაბამისად, იდეოლოგია ერთგვარ ინდიკატორადაც შეგვიძლია განვიხილოთ, რომელიც იმ ჯგუფებზე მიუთითებდა, რომლითაც სტალინი ახალი მმართველი კლასის – ნომენკლატურის ფორმირებას ახდენდა. იმავდროულად ხდებოდა ოფიციალური იდეოლოგიის ადაპტაცია „სოციალურად დაახლოებულთა“ ჯგუფებთან, ამ იდეოლოგიაში მათი ჩართვის შედეგად. ამ ურთიერთობის მაგალითი არის სტალინური იდეოლოგიის ადაპტაცია ნაციონალ-ბოლშევიზმთან.

ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს იდეა, რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოება და რუსი ერის განსაკუთრებული მისიის აღსრულება სტალინმა რუსული იმპერიული იდეოლოგიიდან ისესხა და ოფიციალურ საბჭოთა იდეოლოგიას შეუერთა. ამ იდეურმა რეზონანსმა სტალინს შესაძლებლობა მისცა, „სოციალურად დაახლოებული“ მრავალრიცხოვანი ჯგუფები პარტიის წევრებად, სამხედროებად, ინტელიგენციად გარდაექმნა და მათი საშუალებით პროლეტარი ინტერნაციონალისტები ჩაენაცვლებინა. ინტერნაციონალისტები სულ უფრო ხშირად მსოფლიო ებრაელობასთან და მსოფლიო ბატონობაზე მათ სურვილთან ასოცირდებოდნენ. შესაბამისად, რუსული იმპერიული იდეის სტალინის დოქტრინაში ჩართვა რეჟიმის რეალურ და პოტენციურ სოციალურ ბაზისთან იდეოლოგიურ ადაპტაციას წარმოადგენდა.

მიხაილ აგურსკი თავის საფუძვლიან ანალიზში ნაციონალ-ბოლშევიზმის მრავალ ასპექტს განიხილავს, რომელიც ბოლშევიზმის იდეოლოგიის ნაციონალურთან დაახლოებას, რუსული დიდების აღზევების და რუსული სახელმწიფოს გაძლიერების იდეებს აერთიანებდა. მისი კვლევი-

დან გამომდინარეობს, რომ ბოლშევიზმის მიმღებებს შორის მნიშვნელოვან ნაწილს ისინი შეადგენდნენ, ვინც ბოლშევიზმს კომუნისტ-ინტერნაციონალისტებს, ანუ ეპრაელებს უპირისპირებდა. მათ მიაჩნდათ, რომ ბოლშევიკები რუსეთს ეპრაელთა სიჭარბისგან გაათავისუფლებდნენ.

ამ მოტივით, ბოლშევიკებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მრავალი ულტრამემარჯვენე მიემხრო, რომელთა შორისაც რუსი ხალხის კავშირის ხელმძღვანელები და წევრებიც იყვნენ. აფურსკი საუბრობს მემარჯვენების დიდ რიცხვზე ბოლშევიკურ პარტიაში. იგი ციტირებს იზგოვს, რომლის მიხედვითაც, რუსი ხალხის კავშირი „განსაკუთრებით ახალი სახის მიღებისა და კომუნისტურ პარტიაში განევრიანების შემდეგ გაძლიერდა“ (Агурский 1980: 53).

პარტიაში შიდა გადანაწილებამ, როდესაც საბჭოთა სისტემამ სოციალურად მნიშვნელოვანი იმ ჯგუფების ინტეგრაცია მოახდინა, რომელიც, ასე თუ ისე, იზიარებდა საბჭოთა რეჟიმის ნაციონალურ ხასიათს, სტალინს საშუალება მისცა, ნინ ნამოენია რუსულ-მესიანისტური ლოზუნგი „სოციალიზმი ერთ ქვეყანაში“ და დაწყო ბრძოლა მემარცხენე თპზიციის წინააღმდეგ. მას ეპრაელები – ტროცკი, კამენევი და ზინოვიევი ხელმძღვანელობდნენ. ამ ბრძოლამ ანტისემიტურ განწყობებს პარტიაში და მის მიღმა დამატებითი ძლიერი იმპულსი მისცა. შეიქმნა რანაციონალისტურ-ანტისემიტური ალიბი, სტალინმა მოამზადა კოლექტივზაცია და ინდუსტრიალიზაცია – ხალხის გამანადგურებელი აქციები, რომლის დასრულების შემდეგაც მან რუსული კომუნისტურ-მესიანისტური აპოლოგეტიკის შემუშავება დაიწყო, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მისი ერთპიროვნული ძალაუფლების გამყარების შესანიღბად იყო საჭირო.

დასკვნა

ჩემი კვლევა ეხებოდა ანტისემიტიზმს საბჭოთა კავშირში და მის გავლენას ამ ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. კვლევის მიზანი იყო დამედგინა, თუ რამ განაპირობა საბჭოთა ანტისემიტიზმის ჩამოყალიბება. შედეგად დადგინდა, რომ საბჭოთა ანტისემიტიზმი, რომელიც სტალინის მმართველობის პერიოდის პირმშოა, დასაწყისიდანვე რუსული მესიანისტური იდეოლოგიის ნაწილს ნარმოადგენდა. განვითარების და ტრანსფორმაციის შედეგად, ამ მესიანისტურმა იდეოლოგიამ აითვისა ნაციზმის ნიშნები, მათ შორის ანტისემიტიზმიც. საბჭოთა მესიანისტური იდეოლოგიის ფორმირებისას, სტალინმა ლენინური მესიანიზმი მნიშვნელოვნად გააფიართოვა. ლენინიზმი, როგორც ნიკოლაი ბერდიავევი წერდა, ძირითადად, პროლეტარიატის შესახებ მარქსისტულ მითს და მის ისტორიულ გამათავისუფლებელ მისიას ეყრდნობოდა. სტალინმა, საკუთარი პოლიტიკის საჭიროებებიდან გამომდინარე, პირველადი მესიის სახე გარდაქმნა, გააერთიანა რა მესამე ინტერნაციონალი (კომუნისტური მესიანიზმი) მესამე რომის იდეასთან (რუსული იმპერიული მესიანიზმი) (Берძეев 1990: 118).

ახალი მესიის იპოსტასების კონტრასტის მიხედვით მოხდა ანტიპოდის ფორმირება. მანამ, სანამ კაცობრიობის გამათავისუფლებლის როლი „საერთაშორისო პროლეტარიატს“ ეფუძნებოდა, ანტიპოდს „საერთაშორისო ბურჟუაზია“ და მისი მომხრეები და „აგენტები“ წარმოადგენდნენ, რომლებიც „კლასობრივი მტრის“ კატეგორიაში ერთიანდებოდნენ. სიტუაცია შეიცვალა, როდესაც „საერთაშორისო პროლეტარიატის“ გვერდით ახალი მესია – „რუსი ხალხი“ დადგა. ამ მესიანისტური იპოსტასების შერწყმამ გარკვეული პირამიდული სტრუქტურის ჩამოყალიბება მოახდინა, რომლის ბაზისიც იყო რუსი ხალხი, რომელმაც შვა საერთაშორისო პროლეტარიატის გმირული ბირთვი – რუსი მშრომელთა კლასი ბოლშევიკების პარტიის მეთაურობით. პირამიდა „კაცობრიობის გენიებით“ – ლენინითა და სტალინით – გვირგვინდებოდა, რომლებიც მსოფლიოს რუსმა ხალხმა აჩუქა.

ბუხარინის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიასთან ერთად, რუსულ-კომუნისტური მესიის ანტიპოდის მატრიცის შექმნა მოხდა. ამ მატრიცაში კი მოხვდნენ „ანტიპატრიოტები“, „კოსმოპოლიტები“, „რუსოფონებები“, „სიონისტები“ და მოხდა მათი გაერთიანება არა ხალხის მტრის, არა მედ მტერი ხალხის რიგებში. ამ ახალ კატეგორიაში რუსულ-კომუნისტური მესიანიზმის ყველა არსებული ანტიპოდი და ანტაგონისტი გაერთიანდა.

ასე გამოიყურებოდა რუსულ-იმპერიული კომუნისტური მესიანიზმის გენეალოგია – სტალინიზმის იდეოლოგია, რომლის დროსაც საბჭოთა სახელმწიფო ანტისემიტიზმის დოქტრინის ფორმირება მოხდა. იდეოლოგიისა, რომელმაც საბჭოთა ისტორიის მანძილზე სხვადასხვა მეტამორფოზა განიცადა. ბოლო მათ შორის, რომელიც საბჭოთა იმპერიის სტაგნაციის დროს მოხდა, ნაცისტური იდეების ასიმილაციით გამოირჩეოდა.

თანამედროვე კინოს ერთ-ერთი კონცეპტუალური ოსტატი ალექსანდრ სოკუროვი ჰიტლერზე და სტალინზე თავისი ისტორიულ-ფილოსოფიური ფილმების რეზიუმირებას შემდეგი სიტყვებით აკეთებს: „სტალინიზმი, ბოლშევიზმი მუდამ ჩვენთანაა, ისევე როგორც ნაციზმი: ესაა ავად-მყოფობები, რომელთა განადგურებაც შეუძლებელია. მხოლოდ მათი ლოკალიზებაა შესაძლებელი“. ტოტალიტარული იდეოლოგიები მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდიან და მათი საბოლოოდ განადგურება შეუძლებელია. სტალინიზმიც, მისთვის დამახასიათებელი ანტისემიტიზმით, დღესაც არ კარგავს აქტუალურობას, რაც ამ თემაზე მომავალი კვლევების ჩატარების აუცილებლობას უსვამს ხაზს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Churchill, W. Der Zweite Weltkrieg. Bern, Bd. 3.1, 1951
Dagan, A. Moscow and Jerusalem. Twenty Years of Relations between Israel and Union. London, 1970
Gilboa, Y. The Black Years of Soviet Jewry 1939-1953. Boston, 1971
Hahn, W. Postwar Soviet Politics. The Fall of Zhdanov and Defeat of Moderation. 1948-1953. London, 1982
Myllyniemi, S. Die baltische Krise. Stuttgart, 1979
Silberner, E. Kommunisten zur Judenfrage. Zur Geschichte von Theorie und Praxis des Kommunismus. Opladen, 1983
Tansey, O. "Process Tracing and Elite Interviewing: A Case for Non-probability Sampling", 2007
Trotsky, L. Schriften 1. Sowjetgesellschaft und stalinistische Diktatur. Bd.1/2 (1936-1940). Hamburg, 1988
Vaksberg, A. Stalin against the Jews. New York, 1994
Агурский, М. Идеология национал-большевизма. Paris, 1980
Бердяев, Н. Истоки и смысл русского коммунизма /1937 г./. Москва, Наука, 1990
Гефтер, М. Из тех и этих лет. Москва, 1991
Дмитриевский, С. Сталин. Берлин, 1931
Костырченко, Г. В плену у красного фараона. Политические преследования евреев в СССР в последнее сталинское десятилетие. Москва, 1994
Костырченко, Г. Тайная политика Сталина. Власть и антисемитизм. Москва, 2001
Льясс, Ф. Последний политический процесс Сталина или несостоявшийся геноцид. Иерусалим, 1995
Наумов, В. Неправедный суд. Последний сталинский расстрел. Стенограмма судебного процесса над членами Еврейского антифашистского комитета. Москва, 1994
Наумов, В. "К истории секретного доклада Н. С. Хрущева на XX съезде КПСС". – *Новая и новейшая история*. №4, 1996
Сталин, И. Сочинения, т. 2 (15), 1941-1945, Stanford, California, 1967
Чуев, Ф. Сто сорок бесед с Молотовым. Москва, 1991
Шварц, С. Антисемитизм в Советском Союзе. Нью-Йорк, 1952
Этингер, Я. "Дело врачей" 40 лет спустя". *Новое время*, № 2-3, 1993

REVAZ KOJAVA

**FORMATION OF THE SOVIET ANTI-SEMITISM DURING
THE PERIOD OF STALIN'S RULE**

Summary

The research refers to anti-Semitism in the Soviet Union. Soviet anti-Semitism was the centerpiece for researchers from the very beginning and it still retains its actuality. The Soviet ideology experienced constant transformation at different stages of its development, trying to accommodate to the interests of the ruling power. In the research I discuss the genesis of the Soviet anti-Semitism and its transformation during the period of Stalin's leadership.

The transformation of the Soviet communism from the power that persecuted anti-Semitism and punished those who revealed it into the power that became one of the main inspirers of Cosmopolitanism and Zionism - the fight against Jews - presents the distinctive metamorphosis of XX century, and this happened when Joseph Stalin was in power.

Despite his own antipathy toward Jews, which Stalin felt even in the grassroots of his career, for a long time he sought to play a "Jewish Card". The situation changed only in the late years of his life. The controversy in his attitude toward Jewish people was not only due to his private antipathy and opposition of political interests, but because of the ideological pre-conditions represented by him.

The diversity of the Soviet anti-Semitism lay in the foundation of Russian imperial messianic ideology, which started its formation immediately after the creation of the Soviet Union. Soviet anti-Semitism, alike other similar doctrines, represented a part of the universal ideology - the ideology of Russian imperial communist Messianism. This ideology may be defined as Soviet ideology and may be named as Stalinism after its founder. In 1936 Stalin ranked the above-mentioned event, which restored the common historic liberating mission, as the state ideology. Though its formation took place long before that: the first statement was made by Lenin, who declared the victory of proletarian revolution in one certain country. Stalin recognized the victory of Socialism in the USSR (at the end of 1924), further he made a triumphal statement of this fact (at the 17th congress – nicknamed "The Congress of the Victors", 1934), with which he strengthened the idea of Russian historical mission. Stalin transformed the primary image of the Messiah according to his own political requirements, uniting the Third International (communist Messianism) and the idea of the Third Rome (Russian imperial Messianism).

During the formation of the new ideology, the formula "enemy of the people" appeared. "Enemy of the people" or anti-Semitism doctrine, which developed during the public campaign of 1949-1953, is the main component of the late Stalinism. It experienced a certain transformation due to the post-war political necessity. However, these changes did not touch the essence of Stalinism and anti-Semitism remained the same as it was in the process of its formation – the Russian imperial ideology of communist Messianism.

ავტორები

AUTHORS

ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, კულტურის კვლევები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Tsereteli, Associate Professor, Cultural studies, Iv, Javakhishvili Tbilisi State University

ირაკლი ჩხაიძე, დოქტორანტი, კულტურის კვლევები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Irakli Chkaidze, PhD student, Cultural Studies, Iv, Javakhishvili Tbilisi State University

ნინო დარასელია, ასოცირებული პროფესორი, ევროპული ენების და ლიტერატურის ინსტიტუტი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nino Daraselia, Associate Professor, Institute of European Languages and Literature, Department of English Philology, Iv, Javakhishvili Tbilisi State University

იზაბელ ოუე, პროფესორი, პოლ ვალერის უნივერსიტეტი, მონპელიე III; მონპელიეს შუა საუკუნეების კვლევების ცენტრის წევრი; საფრანგეთის საუნივერსიტეტო ინსტიტუტის წევრი

Isabelle Auge, Professor of Medieval History, Paul Valéry University, Montpellier III, Member of the Center for Medieval Studies in Montpellier, Member of the Institut Universitaire de France.

თამარ ჩოკორაია, ფილოლოგიის დოქტორი, მინვეული პროფესორი, „ნიუ ვიუენ“ უნივერსიტეტი, საქართველო

Tamar Chokoraia, PhD in Philology, Invited Professor, New Vision University, Georgia

ანა ხვედელიანი, დოქტორანტი, კულტურის კვლევები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Anna Khvedeliani, PhD student, Cultural Studies, Iv, Javakhishvili Tbilisi State University

ნინო ტაბეშაძე, დოქტორანტი, კულტურის კვლევები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nino Tabeshadze, PhD student, Cultural Studies, Iv, Javakhishvili Tbilisi State University

Мунзифонова Бабаевна, პროფესორი, ინტერკულტურული დიალოგი, რუსულ-ტაჯიკური (სლავური) უნივერსიტეტი, დუშანბე, ტაჯიკეთი

Munzifakhon Babajanova, UNESCO Chair “Intercultural Dialogue”, Russian-Tajik (Slavonic) University, Dushanbe, Tajikistan

მანანა ჯავახიშვილი, ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Manana Javakhishvili, Associate Professor, Ilia State University

რევაზ ქოიავა, დოქტორანტი, რუსეთისმცოდნეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Revaz Koiava, PhD student, Russian Studies, Iv, Javakhishvili Tbilisi State University

გამომცემლობის რედაქტორები:

გარეკანის დიზაინი
კომპ. უზრუნველყოფა

მარინე ვარამაშვილი
ნანა კაჭაბავა
ნინო ებრალიძე
ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:

Cover Designer

Composer

Marine Varamashvili

Nana Katchabava

Nino Ebralidze

Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995(32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge